PDF Eraser Free

*დანართი №1*

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სსიპ-კოლეჯის „ახალი ტალღა“ მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**

**თავმჯდომარე:**
ნანა შარაბიძე

**წევრი:**
ირმა ღარიბაშვილი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------

PDF Eraser Free

## I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება:**სსიპ - კოლეჯი „ახალი ტალღა“**
ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **საჯარო სამართლის იურიდიული პირი**
საიდენტიფიკაციო კოდი:
სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

## II. მონიტორინგის სახე:

☐ გეგმიური

■ არაგეგმიური



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------

PDF Eraser Free

## III. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

| პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | შესაბამისი საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტებისზღვრული რაოდენობა | აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა | სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა |
|---|---|---|---|
| მშენებლობის წარმოება - სამღებრო სამუშაოები | 25 | 0 | 5 |
| მშენებლობის წარმოება- თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი | 25 | 6 | 0 |
| მშენებლობის წარმოება-იატაკისა და ფილის სამუშაოები | 25 | 0 | 0 |

***შენიშვნა: მონიტორინგის მიზნებიდან გამომდინარე შესაძლოა დასკვნის ფორმის ყველა გრაფა არ შეივსოს ან დასკვნა დაიწეროს თხრობითი სახით.***



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

PDF Eraser Free

## IV. საერთო მიმოხილვა

სსიპ-კოლეჯმა „ახალი ტალღა“ სამ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე - „მშენებლობის წარმოება-თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი“, „მშენებლობის წარმოება - იატაკისა და ფილის სამუშაოები“ და „მშენებლობის წარმოება - სამღებრო სამუშაოები“, რომლებზედაც საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლება მოპოვებული ჰქონდა დუალური მიდგომით, ითხოვა განხორციელების ფორმის ცვლილება. (სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში 2020 წლის 25 მარტს შემოსული წერილით №35772). სსიპ-კოლეჯმა „ახალი ტალღა“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მოთხოვნის საფუძველზე, წარმოადგინა დამატებითი დოკუმენტაცია (წერილი №353508).

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2020 წლის 05 ივნისის №439919 ბრძანებით შეიქმნას პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი (შემდგომში - ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი) შემდეგი შემადგენლობით:

1. ნანა შარაბიძე - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი (თავმჯდომარე);
2. ირმა ღარიბაშვილი- პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი (წევრი).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა საგანმანათლებლო პროგრამების: „მშენებლობის წარმოება-თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი“, „მშენებლობის წარმოება -იატაკისა და ფილის სამუშაოები“ და „მშენებლობის წარმოება- სამღებრო სამუშაოები“, რომლებშიც შეიცვალა განხორციელების ფორმა დუალური მიდგომიდან მოდულურ მიდგომად, ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ)ქვეპუნქტით (ბ.ა),(ბ.ბ) და (ბ.დ) განსაზღვრული სტანდარტის შესაბამისობის შემოწმება, რისთვისაც ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა მონიტორინგის ვიზიტი სსიპ-კოლეჯ "ახალ-ტალღაში" 2020 წლის 25 და 26 ივნისს ქ. ქობულეთში.

ვიზიტი წინასწარ შედგენილი დღის წესრიგის მიხედვით წარიმართა, რომელიც დაწესებულებას წარედგინა ვიზიტის ბრძანებასთან ერთად ვიზიტის უშუალოდ დაწყების წინ. ექსპერტთა ჯგუფმა გადაამოწმა საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მარეგულირებელი დოკუმენტები, საგანმანათლებლო სივრცეები და მათი აღჭურვილობა, საგანმანათლებლო რესურსების საბიბლიოთეკო სივრცეში არსებობა, პროფესიული მასწავლებლების და ადმინისტრაციის

PDF Eraser Free
წარმომადგენლების პირადი საქმეები. ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა და გაესაუბრა სსიპ-კოლეჯის "ახალ-ტალღა“ ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებს და პროფესიულ მასწავლებლებს, პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი დაწესებულების წარმომადგენელს. ექსპერტთა ჯგუფი დაეთანხმა დაწესებულების მოთხოვნას, განახორციელონ ზემოთ აღნიშნული პროგრამები მოდულური მიდგომით, სტუდენტთა იგივე ზღვრული რაოდენობით (25 პროფესიული სტუდენტი), რისი უფლებაც განსაზღვრული ქონდათ დუალური მიდგომით პროგრამების განხორციელების შემთხვევაში.

ჯგუფმა შეაჯამა ვიზიტის პერიოდში გამოვლენილი ძირითადი მიგნებები, რომლებიც გააცნო კოლეჯის ადმინისტრაციას და ყველა დაინტერესებულ პირს (თანამშრომლებს).

## VI. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

-

## VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

დაწესებულებაში წინა ვიზიტი განხორციელდა 2020 წლის 12 მარტს, რომლის დროსაც ექსპერტთა ჯგუფის მიერ რეკომენდაციები არ გაცემულა.

## VIII. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

-



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

PDF Eraser Free

## IX.რეკომენდაციების შეჯამება

განვითარების რეკომენდაცია:

საგანმანათლებლო პროგრამებისთვის: „მშენებლობის წარმოება-თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი“, „მშენებლობის წარმოება-იატაკისა და ფილის სამუშაოები“ და „მშენებლობის წარმოება- სამღებრო სამუშაოები“

2.4.2. რეკომენდაცია მიეცათ მოხდეს სამივე პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლების გადამზადება პროფესიულ სტუდენტთა შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების საკითხებზე, რისი საჭიროებაც გამოიკვეთა პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს.

## X. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მშენებლობის წარმოება - სამღებრო სამუშაოები“ შესახებ

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | მშენებლობის წარმოება - სამღებრო სამუშაოები |
| პროფესიული განათლების საფეხური / დონე | მესამე დონე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია კედლის დაფარვის სამუშაოებში |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0732 |
| პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები | დამტკიცებულია სსიპ-კოლეჯი ,,ახალი ტალღა“ დირექტორის<br>23.07.2018 წლის N01-04/109 ბრძანებით<br>(ცვლილება 26.08.2018 წლის N01-04/129;<br>08.11.2018 წლის N 01-04/165;<br>05.03.2019 წლის N 01-04/35<br>24.03.2020 წლის N01-04/49 ბრძანებები |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

PDF Eraser Free

| | |
|---|---|
| პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები) | ქობულეთი, რუსთაველის ქ N154 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით | 25 პროფესიული სტუდენტი, მოდულური, ქობულეთი, რუსთაველის ქ N154 |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან,პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).* | - |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 58 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 73 |

## სტანდარტის შეფასება

### პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

**2.საგანმანათლებლო პროგრამები**

**2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.**

**2.1.1** პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

PDF Eraser Free

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

**კომპონენტის/კრიტერიუმისმოთხოვნებთანშესაბამისობისაღწერითიმიმოხილვადაანალიზი**:

1. პროფესიულმა საგანმანათლებლო დაწესებულების გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის „მშენებლობის წარმოება - სამღებრო სამუშაოები“ განხორციელების შესახებ ეფუძნება კოლეჯის მიერ ჩატარებულ კვლევის შედეგებს, დასაქმების მაჩვენებელსა და თვითდასაქმების შესაძლებლობას.

საგანმანათლებლო დაწესებულების მისიაა:

„პროფესიული განათლების სისტემის ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან დაახლოებით და თავსებადობით, მრავალპროფილური პროფესიული განათლებით წვლილი შევიტანოთ ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრისთვის კონკურენტუნარიანი კადრების მიწოდებით. სოციალური ინკლუზიით, ინდივიდის პიროვნული და პროფესიული განვითარებით, მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ხელშეწყობით უზრუნველყოს საზოგადოებრივი კეთილდღეობის ზრდა. თქვენი წარმატება ჩვენი მისიაა!“.

კოლეჯის სტრატეგიული განვითარების გეგმის ამოცანად განსაზღვრულია თანამედროვესწავლებისსხვადასხვამეთოდებისა დამიდგომებისდანერგვა (დირექტორის ბრძანება N01-04/13. 29.01.2019 წ).



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

PDF Eraser Free

პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები განსაზღვრულია პროგრამით (დამტკიცებულია დირექტორის 23.07.2018 წლის N01-04/109 ბრძაბებით. (ცვლილება 26.08.2018 წლის N01-04/129; 08.11.2018 წლის N 01-04/165; 05.03.2019 წლის N 01-04/35; 24.03.2020 წლის N01-04/49 ბრძანებებით)). დაშვების წინაპირობაა - საბაზო განათლება. პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები განსაზღვრულია „პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის წესით“. რომელიც ითვალისწინებს ჩარიცხვის პროცესთან დაკავშირებულ ყველა პროცედურას. დოკუმენტიეფუძნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის №152/ნ ბრძანებით დამტკიცებულ პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულებას. (ცვლილება *(28.05.2020 N59/ნ).*

საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

**3.** სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯს „ახალი ტალღა“ შემუშავებული აქვს დოკუმენტი - „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“ (დამტკიცებულია დირექტორის 2018 წლის 10 აგვისტოს N 01-04/122 ბრძანებით). დოკუმენტში გაწერილია კონკრეტულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის დროს გასათვალისწინებელი გარემოებები, როგორც მოდულური ასევე დუალური მიდგომით განხორციელებიის დროს. **პროგრამაზე „მშენებლობის წარმოება - სამღებრო სამუშაოები“, სტუდენტთა რაოდენობა გათვლილია და შესაბამისობაშია „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიასთან“.** საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობად განსაზღვრულია 25 პროფესიული სტუდენტი.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

PDF Eraser Free

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტთან, კერძოდ, პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილია A, B და C გარემო შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობით. პროგრამით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი განთავსებულია კოლეჯის ბიბლიოთეკაში, როგორც ნაბეჭდი, ასევე ელექტრონული სახით.

**საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**

**5. საგანმანათლებლო პროგრამას არჩევითი მოდული არ გააჩნია.**

6. „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიის" დოკუმენტის მიხედვით განსაზღვრულია პროგრამების დამტკიცებაზე **უფლებამოსილი პირი - კოლეჯის დირექტორი** (დირექტორის 16.06.2020 წლის N01-04/84 ბრძანება.). საგანმანათლებლო პროგრამა «მშენებლობის წარმოება - სამღებრო სამუშაოები» დამტკიცებულიადირექტორის 23.07.2018 წლის N01-04/109 ბრძანებით, ბოლო ცვლილება განხორციელდა24.03.2020 წლის N01-04/49 ბრძანებებით.

7. პროგრამის სახელწოდება „მშენებლობის წარმოება - სამღებრო სამუშაოები" შესაბამისობაშია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2017 წლის 29 დეკემბრის №844 ბრძანებით დამტკიცებულ ჩარჩო დოკუმენტთან - ,,მშენებლობის წარმოება", (ცვლილება 2019 წლის 31 იანვარი N 85/ი). **პროგრამის სახელწოდება შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან, მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან - „საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია კედლის დაფარვის სამუშაოებში" და არ არის შეცდომაში შემყვანი.**

8. საგანმანათლებლო პროგრამა „მშენებლობის წარმოება - სამღებრო სამუშაოები" სრულ შესაბამისობაშია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2017 წლის 29 დეკემბრის №844 ბრძანებით დამტკიცებულ ჩარჩო დოკუმენტთან - ,,მშენებლობის წარმოება", (ცვლილება 2019 წლის 31 იანვარი N 85/ი).

საგანმანათლებლო პროგრამა „მშენებლობის წარმოება - სამღებრო სამუშაოები" შეესაბამება კოლეჯის დირექტორის 16.06.2020 წლის N01-04/84 ბრძანებით დამტკიცებული "პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

PDF Eraser Free
განხორციელების შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიას". პროგრამის მოდიფიცირება განხორცილებულია აღნიშნული წესისა და პროცედურების სრული დაცვით.

**<u>საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.</u>**

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- საგანმანათლებლო პროგრამა „მშენებლობის წარმოება - სამღებრო სამუშაოები";
- "პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის,შემუშავების,განხორციელების შეფასებისა და განვითარებისმეთოდოლოგია" (დირექტორის ბრძანება 16.06.2020 წლის N01-04/84);
- ჩარჩო დოკუმენტი - ,,მშენებლობის წარმოება", (ცენტრის დირექტორის ბრძანება№844. 29.12. 2017 წ. ცვლილება N 85/ი; 31.01.2019 წ );
- „პროფესიულსტუდენტთაზღვრული რაოდენობისგანსაზღვრისმეთოდოლოგია" (დირექტორისბრძანებაN 01-04/122; 10.08.2018 წ);
- კოლეჯის „სტრატეგიული განვითარების გეგმა" (დირექტორის ბრძანება N01-04/13. 29.01.2019 წ);
- დირექტორის 27.02.2020 წლის N 01-04/28 (ცვლილება: 16.06.2020 წლის N 01-04/83 ) ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის წესი";
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის №152/ნ ბრძანებით დამტკიცებულ პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულება. (ცვლილება (28.05.2020 N59/ნ);
- კოლეჯის მისია https://www.kpc.ge/mission.html ;
- ინტერვიურება კოლეჯის ადმინისტრაციასთან.

**შეფასება:**

■შეესაბამება
☐მეტწილად შეესაბამება
☐ნაწილობრივ შეესაბამება
☐არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------

PDF Eraser Free

**2.2.საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.**

**2.2.1**პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

**კომპონენტის/კრიტერიუმისმოთხოვნებთანშესაბამისობისაღწერითიმიმოხილვადაანალიზი**:

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება დაგეგმილი იყო დუალური მიდგომით, ამიტომ საჭიროება არ იყო კოლეჯს პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად ჰქონოდა შესაბამისი C გარემო. განხორციელების მიდგომის შეცვლით დადგა აუცილებლობა გადამოწმდეს მოდულური მიდგომის პირობებში სწავლის შედეგების მისაღწევად დაწესებულების მატერიალური რესურსის C გარემოში არსებობა, საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობად განსაზღვრული 25 პროფესიული სტუდენტისთვის.
ვიზიტის დროს გადამოწმდა კოლეჯის მფლობელობაში არსებული საგანმანათლებლო პროგრამის „მშენებლობის წარმოება - სამღებრო სამუშაოები“ განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსის ჩამონათვალი, რომელიც შესაბამისად ჩარჩო დოკუმენტში განსაზღვრულ მატერიალური რესურსის ჩამონათვალის იდენტურია და განთავსებულია კოლეჯისC გარემოში. გადამოწმდა ასევე პროგრამის განსახორციელებლად საჭირო A და Bგარემო და მატერიალური რესურსების შესყიდვებისა და მიღება-ჩაბარების დოკუმენტაცია.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

PDF Eraser Free

პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, პროგრამის მოდულური მიდგომით განხორციელების პირობებში.

2. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 13 პროფესიული განათლების მასწავლებელი. სპეციალიზაციის მოდულებისგანსახორციელებლად, დარგის მასწავლებლად განსაზღვრულია 3 პროფესიული მასწავლებელი. აქედან გამომდინარე, პროგრამის განხორციელების მდგრადობა უზრუნველყოფილია. პროფესიული განათლების მასწავლებლის (საშტატო) დატვირთვის გაანგარიშებისას კოლეჯი ითვალისწინებს მასწავლებლის მიერ განსახორციელებელ სხვა აქტივობებსაც, კერძოდ: მოდულის ადაპტირება, შეფასების ინსტრუმენტების შექმნა, ვერიფიკაცია, სტუდენტთა ნაშრომების გასწორება, შეფასების პროცესი, პროფესიული განვითარება, მონაწილეობა სამუშაო და ადმინისტრაციულ შეხვედრებში და სხვ. მათი საკონტაქტო საათების დატვირთვა ერთი პროგრამის მიზნებისათვის არის სასწავლო გეგმის მიხედვით 2 ცვლიანი სწავლების პირობებში კვირაში დაახლოებით 30-32 საათი.
პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

3. ვიზიტისას, ექსპერტთა მიერ შემოწმებულ იქნა „მშენებლობის წარმოება - სამღებრო სამუშაოების“ პროგრამისათვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეები. პირად საქმეებში წარმოდგენილი დოკუმენტებითპროფესიულ მასწავლებლებს უდასტურდებათ დარგის შესაბამისი კომპეტენცია. ხარისხის მართვის მენეჯერმა ინტერვიურებისას აღნიშნა, რომ „მშენებლობის წარმოება - სამღებრო სამუშაოების“ პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებლებმა გაიარეს მასწავლებელთაპროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შეთავაზებული„პროფესიული განათლების მასწავლებელთა პედაგოგიური პროგრამის კურსი“.
პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია; რაც დასტურდება ასევე პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ინტერვიურებისას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

PDF Eraser Free

4. „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ შესაბამისად (დამტკიცებულია დირექტორის N01-04/84 ბრძანებით. 16.06.2020წ. მუხლი 4. პროგრამის შემუშავების პროცესი), 21-ე პუნქტის მიხედვით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი განსაზღვრულია პროგრამით და ის ცალკე ბრძანებით არ მტკიცდება.

***ვიზიტის დროს ექსპერტთა მხრიდან გაიცა რეკომენდაცია პროგრამის ხელმძღვანელებისათვის გაეწერათ სამუშაო აღწერილობები. დაწესებულებამ გაითვალისწინა აღნიშნული რეკომენდაცია და წარმოადგინა ბრძანება №01-04/91 (26.06.2020 წ), პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელების განსაზღვრის და მათი პროგრამის ხელმძღვანელების სამუშაო აღწერილობის (საკვალიფიკაციო მოთხოვნის, ფუნქცია-მოვალეობების) განსაზღვრის შესახებ. აღნიშნული ბრძანებით განისაზღვრა „მშენებლობის წარმოება - სამღებრო სამუშაოების“ პროგრამის ხელმძღვანელი და მისი სამუშაო აღწერილობები დანართის სახით.***

ექსპერტთა მიერ გადამოწმდა პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე, წარმოდგენილი დოკუმენტებით მას უდასტურდება შესაბამის დარგში სამუშაო გამოცდილება. პროგრამის ხელმძღვანელს ასევე გავლილი აქვს სხვადასხვა ტრენინგები,კერძოდ:
-სამშენებლო მათემატიკა და მისი გამოყენება 2010 წ. აშშ სააგენტო (USAID)
-სამშენებლო მათემატიკა და მისი გამოყენება 2010 წ. აშშ სააგენტო (USAID)
-უსაფრთოხეობის ზოგადი ნორმები სამშენებლო მოედანზე 2010 წ. აშშ სააგენტო (USAID).
-შენობებისა და ნაგებობეის კლასიფიკაცია და მათი ძირითადი ელემენტები 2010 წ. აშშ სააგენტო (USAID)
-ნახაზის კითხვის უნარ-ჩვევები 2010 წ. აშშ სააგენტო (USAID)
-თაბაშირ-მუყაოს გამოყენება ტიხრულ ზედაპირებზე. KNAUF ლვოვის უმაღლესი პროფესიული ლიცეუმის ბაზაზე 2013 წ.
-ჯანმრთელობის და უსაფრთხოების დაცვა სამშენებლო სექტორში 2018 წ (GIZ).

საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.

5. კოლეჯში ვიზიტისას ექსპერტთა მიერ შემოწმდა ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსი. საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია სასწავლო რესურსით. ბიბლიოთეკაში სახელმძღვანელოები განთავსებულია როგორც ბეჭდური სახით, ასევე ელექტრონული სახით.დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და ხელმისაწვდომია

PDF Eraser Free
სტუდენტებისთვის. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით კოლეჯის ვებ გვერდზე (https://www.kpc.ge/library.html). ექსპერტთა მიერ გადამოწმდა ელ. ფოსტის აღნიშნული მისამართი.
**საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით და დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით. მათი გამოყენება შესაძლებელია სასწავლო პროცესში.**

6. კოლეჯის შენობა, მათ შორის ბიბლიოთეკა, ადაპტირებულია სსსმ პირთათვის, ამავე დროს, კოლეჯს ჰყავს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი და სსსმ პირთა ასისტენტი. კოლეჯში გაწერილია ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტისა და სსსმ პირთა ასისტენტის ფუნქციები. ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის ფუნქცია აუზრუნველყოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტთათვის სასწავლო პროცესის და სასწავლო გარემოს მათი ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით განსაზღვრა, ხოლო სსსმ პირთა ასისტენტის ფუნქციაა უზრუნველყოს სტუდენტის სამუშაო და სასწავლო მასალის ადაპტირება. ინტერვიურებისას ხარისხის მართვის მენეჯერმა განმარტა, რომ აღნიშნული **რეალურად დანერგილი პრაქტიკაა** კოლეჯში, თუმცა ამ ეტაპზე კონკრეტულად ამ პროგრამაზე სტუდენტი არ ირიცხება.
**სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.**

7. ვიზიტისას კოლეჯმა წარმოადგინა პროგრამის ბიუჯეტი, სადაც განსაზღვრულია შემოსავლების ნაწილი და ხარჯების ნაწილი. შემოსავლების ნაწილში სულ განსაზღვრულია - 93120 ლარი და ხარჯების ნაწილში - 93 120 ლარი. ხარჯების ნაწილი მოიცავს - შრომის ანაზღურებას 1231სთ, ნედლეულისა და მასალის ხარჯებს, გაუთვალისწინებელ და პროგრამის ამორტიზაციის ხარჯებს. აღსანიშნავია, რომ 10 სტუდენტიანი ჯგუფი ანაზღაურებს თავის თავს.
კოლეჯის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. სწავლება ფინანსდება სამინისტროს მიერ.პროგრამაფინანსდებავაუჩერულად.
**პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.**


ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

PDF Eraser Free
დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ➢ პროფესიული განათლების მასწავლებლების და პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმეები;
- ➢ საგანმანათლებლო პროგრამის „მშენებლობის წარმოება-სამღებრო სამუშაოები“ პაკეტი;
- ➢ „პროფესიულისაგანმანათლებლოპროგრამისდაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისშეფასებისადაგანვითარებისმეთოდოლოგია“ (დამტკიცებულიდირექტორის N01-04/84 ბრძანებით. 16.06.2020 წ);
- ➢ „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელების განსაზღვრის და მათი პროგრამის ხელმძღვანელების სამუშაო აღწერილობის (საკვალიფიკაციო მოთხოვნის, ფუნქცია-მოვალეობების) განსაზღვრის შესახებ“ (ბრძანება №01-04/91 (26.06.2020 წ));
- ➢ კოლეჯის ვებ გგვერდი https://www.kpc.ge/library.html ;
- ➢ ელექტრონული სახელმძღვანელოები https://www.kpc.ge/library.html;
- ➢ „პროფესიულსტუდენტთაზღვრული რაოდენობისგანსაზღვრისმეთოდოლოგია“ (დირექტორისბრძანებაN 01-04/122; 10.08.2018 წ);
- ➢ პროგრამის ბიუჯეტი;
- ➢ საგანმანათლებლო სივრცეების ვიზუალური დათვალიერებით;
- ➢ პროგრამის ხელმძღვანელის და განმახორციელებელი მასწავლებლების ინტერვიურება.

შეფასება:

■შეესაბამება
☐მეტწილად შეესაბამება
☐ნაწილობრივ შეესაბამება
☐არ შეესაბამება

**2.4. სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება**

**2.4.1**სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------

PDF Eraser Free

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

**კომპონენტის/კრიტერიუმისმოთხოვნებთანშესაბამისობისაღწერითიმიმოხილვადაანალიზი**:

1. კოლეჯის მიერ წარმოდგენილია საგანმანათლებლო პროგრამის მოდულური მიდგომით განხორციელების შემთხვევაში გაწერილი სასწავლო გეგმა, სადაც მოდულების სწავლების თანმიმდევრობა ლოგიკურადაა განსაზღვრული. კოლეჯის ადმინისტრაციის წარმიმადგენელმა ინტერვიურებისას აღნიშნა, რომ „მშენებლობის წარმოება - სამღებრო სამუშაოების“ პროგრამის სასწავლო გეგმის და საათების განაწილების ტარიფიკაციის შესაბამისად შემუშავდება გაკვეთილების განრიგი - ცხრილი. პროფესიული განათლების მასწავლებლები მოდულის დაწყებამდე შეიმუშავებენ კალენდარულ გეგმებს კოლეჯში დირექტორის ბრძანებით (15.10.2019 წლის N01-04/171) დამტკიცებული „კალენდარული გეგმის“ ფორმის შესაბამისად.
**<u>აღსანიშნავია, რომ ამჟამად „მშენებლობის წარმოება - სამღებრო სამუშაოების“ პროგრამაზე არც დუალური და არც მოდულური მიდგომით სწავლა არ ხორციელდება</u>**
2. ინტერვიურებისას კოლეჯის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ზოგადად კოლეჯში დამკვიდრებული პრაქტიკით სწავლა პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით ხორციელდება ორ ცვლაში, სადაც სტუდენტს აქვს ცვლის არჩევის შესაძლებლობა.კოლეჯს გააჩნია გამოცდილება სსმ პირებისათვის უზრუნველყოს დამატებითი ხელშეწყობის პირობები სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების დროს. **<u>მართალია ამჟამად „მშენებლობის წარმოება - სამღებრო სამუშაოების“ პროგრამაზე არც დუალური და არც მოდულური მიდგომით სწავლა არ ხორციელდება, თუმცა გამოცდილება აჩვენებს, რომ კოლეჯში დაგეგმილი ყველა ხელშეწყობის ღონისძიება ხელმისაწვდომი იქნება ამ პროგრამის სტუდენტებისათვისაც.</u>**
3. „მშენებლობის წარმოება - სამღებრო სამუშაოების“ პროგრამაზე სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. პროფესიული განათლების მასწავლებლებმა ინტერვიურებისას აღნიშნეს, რომ დაწესებულება ზრუნავს მათ გადამზადებაზე სხვადასხვა მიმართულებით. მათ შორის სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდებზე და თანამედროვე ტექნოლოგიებზე. აღნიშნული ტრენინგები ტარდება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

PDF Eraser Free
როგორც მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ, ასევე კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფის მიერ. საკონსულტაციო შეხვედრები დასტურდება დასწრების ფურცლებით. აღსანიშნავია, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლებმა პირად საქმეებში წარმოდგენილია შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტები. საგანმანათლებლო სივრცეების დათვალიერებამ უჩვენა, რომ კოლეჯს აქვს ყველა შესაძლებლობა სასწავლო პროცესი თანამედროვე მეთოდების და ტექნოლოგიების გამოყენებით წარმართოს და უზრუნველყოს სტუდენტებისთვის დარგის უახლესი მიღწევების გაცნობა სხვადასხვა საკომუნიკაციო და სადემონსტრაციო აღჭურვილობის გამოყენებით.

**სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.**

**4.** დაწესებულებას გააჩნია „სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მუშავების პროცედურები“ (დირექტორის ბრძანება N01-04/35. 20.03.2018 წ), რომელიც საჭიროების დადგენის გზით უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტისთვის ყველაზე ოპტიმალური სასწავლო გეგმის შედგენას და დამტკიცებას. ინტერვიურებისას კოლეჯის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის მორგებული სერვისების შეთავაზების პირობებს პროგრამის ჩანაწერებიც კი მოიცავს.

**აღსანიშნავია, რომ ამჟამად „მშენებლობის წარმოება - სამღებრო სამუშაოების“ პროგრამაზე არც დუალური და არც მოდულური მიდგომით სწავლა არ ხორციელდება, შესაბამისად ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის აუცილებლობა არ დამდგარა.**

5. საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო გეგმით გათვალისწინებული პრაქტიკის კომპონენტი ხორციელდება კოლეჯის ბაზაზეC გარემოში, დამატებით სხვა ობიექტების და ორგანიზაციების ჩართულობას საგანმანათლებლო პროგრამის **მოდულური მიდგომით განხორციელება არ ითვალისწინებს.**

6. კოლეჯმა ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა დირექტორის ბრძანება №01-04/90 (26.06.2020 წ.) „სსიპ-კოლეჯში „ახალი ტალღა“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „მშენებლობის წარმოება-სამღებრო სამუშაოები“, „მშენებლობის წარმოება-იატაკისა და ფილის სამუშაოები“ და „მშენებლობის წარმოება-თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი“ ლაბორატორიებისთვის შრომის უსაფრთხოების წესი და ლაბორატორიაში პროფესიული სტუდენტების/მსმენელების შრომის უსაფრთხოების წესის გაცნობის/ინსტრუქტაჟის ჩატარების ჟურნალის (ფორმის) დამტკიცების შესახებ“. შრომის უსაფრთხოების წესი გაკრულია C გარემოში. ინტერვიურებისას პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ყოველი

PDF Eraser Free

პრაქტიკული მეცადინეობის დაწყების წინ პროფესიულ სტუდენტებს ჩაუტარებენ ინსტრუქტაჟს და შესაბამის ჟურნალში დააფიქსირებენ ხელმოწერით. აღსანიშნავია, რომ პროგრამის ფარგლებში, თვითოეული პროფესიული სტუდენტისთვის შეძენილია ინდივიდუალური დაცვის საშუალებები - სპეც ტანსაცმელი, სათვალეები და რესპირატორი.
**<u>სასწავლო პროცესი წარიმართება უსაფრთხო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. ამჟამად „მშენებლობის წარმოება - სამღებრო სამუშაოების“ პროგრამაზე არც დუალური და არც მოდულური მიდგომით სწავლა არ ხორციელდება.</u>**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- „სსიპ-კოლეჯში „ახალი ტალღა“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „მშენებლობის წარმოება-სამღებრო სამუშაოები“, „მშენებლობის წარმოება-იატაკისა და ფილის სამუშაოები“ და „მშენებლობის წარმოება-თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი“ ლაბორატორიებისთვის შრომის უსაფრთხოების წესი და ლაბორატორიაში პროფესიული სტუდენტების/მსმენელების შრომის უსაფრთხოების წესისგაცნობის/ინსტრუქტაჟის ჩატარების ჟურნალის (ფორმის) დამტკიცების შესახებ“ . (დირექტორის ბრძანება №01-04/90. 26.06.2020 წ.);
- „სსსმ/შშმპროფესიულისტუდენტებისათვისინდივიდუალურისასწავლოგეგმის მუშავებისპროცედურები“ (დირექტორის ბრძანება N01-04/35. 20.03.2018 წ);
- „კალენდარული გეგმის“ ფორმის დამტკიცების შესახებ (15.10.2019 წლის N01-04/171);
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მშენებლობის წარმოება-სამღებრო სამუშაოები“;
- დამხმარე ინსტრუქტორებისპირადი საქმეები;
- ვიზუალრი დათვალიერება;
- ინტერვიურება კოლეჯის წარმომადგენლებთან.

შეფასება:

■შეესაბამება
☐მეტწილად შეესაბამება
☐ნაწილობრივ შეესაბამება
☐არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

PDF Eraser Free

**2.4.2.** შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას.

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

**კომპონენტის/კრიტერიუმისმოთხოვნებთანშესაბამისობისაღწერითიმიმოხილვადაანალიზი**:

1. პროფესიულ სტუდენტთა შეფასება ხორციელდება დირექტორის 2017 წლის 31 ივლისის N 01-04/97 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულსაგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტის შეფასებასთან დაკავშირებული რეგულაციების" მიხედვით. კოლეჯში დამტკიცებულია შეფასების ინსტრუმენტის ფორმა, რომლის მიხედვითაც ხდება ინსტრუმენტის შემუშავება (ინსტრუმენტებია ფორმები განთავსებულია კოლეჯის ვებ-გვერდზე: https://kpc.ge/quality.html). დამატებით კოლეჯში მოქმედებს პროფესიული სტუდენტების, კოლეჯის თანამშრომელბის და მოქალაქეების მიერ შემოსული საჩივრების/პრეტენზიების განმხილველი მუდმივმოქმედი კომისია (31.07.2017 წლის ბრძ 01-04/94), რომელიც განიხილავს შემოსულ საჩივრებს, მ. შ. შეფასებასთან დაკავშირებით. **პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური, თუმცა** აღსანიშნავია, რომ ინტერვიურებისას პროფესიული განათლების მასწავლებლებმა სურვილი გამოთქვეს, რათა მოხდეს მათი გადამზადება შეფასების ინსტრუმენტების შექმნის საკითხებთან დაკავშირებით.

**რეკომენდაცია მიეცათ მოხდეს პროფესიული მასწავლებლების გადამზადება პროფესიულ სტუდენტთა შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების საკითხებზე.**

2. შიდა ვერიფიკაციას ახორციელებს შიდა ვერიფიკატორი, რომელიც შესაძლოა იყოს კოლეჯის იმავე მოდულის სხვა მასწავლებელი, ან იმავე პროგრამის სხვა მოდულის მასწავლებელი და ადმინისტრაციის წარმომადგენელი, რომელთაც გააჩნიათ შესაბამისი ცოდნა. შიდა ვერიფიკატორი პირველ ეტაპზე ადასტურებს „მოდულის შეფასების ინსტრუმენტში" ასახული სწავლის შედეგების, მოცემული დავალებისა და სცენარის, შესრულების კრიტერიუმებისა და დავალების შეფასების კრიტერიუმების, როგორც ერთმანეთთან თავსებადობა-შესაბამისობას, ასევე სწავლის შედეგების შესრულების

PDF Eraser Free
მტკიცებულებების შესაბამისობას შერჩეულ შეფასების ინსტრუმენტთან. შიდა ვერიფიკაციის პირველ ეტაპზე ვერიფიკატორს პროფესიულ მასწავლებელთან უკუკავშირის საშუალებით საჭიროების შემთხვევაში შეაქვს შესაბამისი ცვლილება „მოდულის შეფასების ინსტრუმენტში“ მეორე ეტაპზე (მოდულის დასრულებიდან არაუმეტეს ერთ კვირაში) შიდა ვერიფიკატორი ამოწმებს შეგროვებული მტკიცებულებების ავთენტიკურობასა და კომპეტენციების დადასტურებისათვის საკმარისობას და შემოწმების შედეგების ანგარიშს წარმოადგენს დასკვნის სახით.

<u>პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.</u>

3. მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვა და შენახვა, შემდეგი პროცედურების დაცვით: მოდულის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებელი ინახავს პროფესიული სტუდენტის შეფასების მტკიცებულებებს მოდულის დასრულებამდე. შეფასების უწყისს წარადგენს სასწავლო პროცესის სპეციალისტთან მოდულის დასრულებიდან 1 დღის ვადაში, რის საფუძველზეც სასწავლო პროცესის სპეციალისტი სწავლის შედეგების შეფასების უწყისის მონაცემებს ასახავს უწყისების აღრიცხვის ჟურნალში. პროგრამის ხელმძღვანელი (ან/და კონკრეტული ჯგუფის ხელმძღვანელი, რომელიც განსაზღვრულია შესაბამისი ბრძანებით) მოდულის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლისგან შესაბამისი დოკუმენტის საფუძველზე ჩაიბარებს თითოეული პროფესიული სტუდენტის შეფასების მტკიცებულებებს, მოდულის დასრულებიდან 5 დღის ვადაში; ხოლო, როცა მოდული სხვა განსახორციელებელ მოდულზე დაშვების წინაპირობაა მოდულის დასრულებიდან ერთი დღის ვადაში; პროგრამის დასრულების შემდეგვ სასწავლო პროცესის სპეციალისტი და პროგრამის ხელმძღვანელი საკვალიფიკაციო კომისიას წარუდგენს ყველა პროფესიული სტუდენტის შეფასების უწყისსა და მტკიცებულებებს, რის საფუძველზეც კომისია მიიღებს გადაწყვეტილებას კვალიფიკაციის მინიჭება/არმინიჭების შესახებ. საკვალიფიკაციო კომისიის სხდომის შემდეგ შეფასების უწყისები და მტკიცებულებები ჩაბარდეს სასწავლო პროცესის სპეციალისტს, რომელიც შესაბამისი აქტის საფუძველზე გადასცემს არქივს. არქივი უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით; მტკიცებულებების პროფესიულ სტუდენტზე გადაცემა ან განადგურება უნდა განხორციელდეს შესაბამისი აქტის საფუძველზე. აქტის შენახვის ვადა განისაზღვროს მისი გაფორმებიდან არაუგვიანეს ერთი წლისა. პროფესიული სტუდენტის შეფასების უწყისის შენახვის ვადა კოლეჯში განისაზღვროს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის შესაბამისად საარქივო დაწესებულებაზე გადაცემამდე ან მუდმივად სასწავლო პროცესში გამოიყენება განმავითარებელი შეფასება, რომელიც მასწავლებელს აძლევს საშუალებას, შეამოწმოს სტუდენტების გაგების/გააზრების დონე და შესაბამისად დაგეგმოს



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

PDF Eraser Free
სწავლების პროცესი, ასევე მისცეს რეკომენდაცია სტუდენტს თუ რა კუთხით გააქტიუროს მუშაობა განმსაზღვრელი შეფასებისთვის.

**პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.**

4. ზოგადად კოლეჯის სასწავლო პროცესში გამოიყენება განმავითარებელი შეფასება, რომელიც მასწავლებელს აძლევს საშუალებას, შეამოწმოს სტუდენტების გაგების/გააზრების დონე და შესაბამისად დაგეგმოს სწავლების პროცესი, ასევე მისცეს რეკომენდაცია სტუდენტს თუ რა კუთხით გააქტიუროს მუშაობა განმსაზღვრელი შეფასებისთვის.

**პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის, თუმცა საგანმანათლებლოპროგრამაზე „მშენებლობის წარმოება-სამღებრო სამუშაოები“ არც დუალური და არც მოდულური მიდგომით სასწავლო პროცესი არ მიმდინარეობს.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დირექტორის2017 წლის 31 ივლისის N 01-04/97 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული როფესიული სტუდენტის შეფასებასთან დაკავშირებული რეგულაციები“
- სსიპ-კოლეჯში ,,ახალიტალღა“ 15.10.2019 წლის N 01-04/171 ბრძანებით დამტკიცებული „მოდიფიცირებული კალენდარული გეგმის ფორმის, შეფასების ინსტრუმენტის ფორმის (4 სხვადასხვა დავალებებისათვის) და უწყისის ფორმის დამტკიცების, ამასთან სსიპ კოლეჯში ,,ახალი ტალღა“ შეფასების ინსტრუმენტის შეფასების კითხვარის ფორმის, საკონტაქტო საათზე დასწრების კითხვარის ფორმის, პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული შედეგების მტკიცებულებების შემოწმების კითხვარის ფორმის და შეფასების პროცესის განხორციელებაზე დაკვირვების ფურცელის ფორმის დამტკიცების შესახებ“
- დირექტორის 09.11.2018 წლის N01-04/169 ბრძანებით დამტკიცებული „სტუდენტებისშეფასებისმტკიცებულებებისშენახვის ვადებისა და შენახვაზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრის წესი“ (ცვლილება 16.01.2020 წლის N01-04/04 ბრძანება)
- დირექტორის 11.12.2017 წლის N01-04/188 ბრძანებით დამტკიცებული „მოდულური საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების სასწავლო პროცესში მიღწეული სწავლის შედეგების გასაჩივრების ვადების დადგენასთან დაკავშირებით, სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის ,,ახალი ტალღა’’ მოდულური პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების, შეფასების მტკიცებულებების შენახვის ვადების და მტკიცებულების შენახვაზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრის შესახებ კოლეჯის 2015 წლის 17 ნოემბრის №01-04/135 და კოლეჯის 2017 წლის 27 სექტემბრის №01-04/130 ბრძანებაში და მის დანართ№1-ში ცვლილების განხორციელების, ამასთან კოლეჯის 2017 წლის 31 ივლისის №01-04/94 ბრძანებით შექმნილ სსიპ საზოგადობრივი კოლეჯში ,,ახალი ტალღა“ პროფესიული სტუდენტების, კოლეჯის თანამშრომელბის და მოქალაქეების მიერ შემოსულისაჩივრების/პრეტენზიების განმხილველ მუდმივმოქმედი კომისის შესახებ“



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

PDF Eraser Free

შეფასება:

■შეესაბამება
☐მეტწილად შეესაბამება
☐ნაწილობრივ შეესაბამება
☐არ შეესაბამება

## XI. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მშენებლობის წარმოება - თაბაშირ - მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი“ შესახებ

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | მშენებლობის წარმოება- თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი |
| პროფესიული განათლების საფეხური / დონე | მესამე დონე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია კედლის დაფარვის სამუშაოებში |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0732 |
| პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები | დამტკიცებულიასსიპ - კოლეჯი ,,ახალიტალღა“ დირექტორის 23.07.2018 წლის N01-04/109 ბრძანებით (ცვლილება 26.08.2018 წლის N01-04/129; 08.11.2018 წლის N 01-04/165; 05.03.2019 წლის N 01-04/35 24.03.2020 წლის N01-04/49 ბრძანებებით) |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები) | ქობულეთი, რუსთაველის ქ N154 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით | 25 პროფესიული სტუდენტი, მოდულური, ქობულეთი, რუსთაველის ქ N154 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------

PDF Eraser Free

| | |
|---|---|
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან,პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).* | - |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 58 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 73 |

## სტანდარტის შეფასება

### პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

**2.საგანმანათლებლო პროგრამები**

**2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.**

**2.1.1** პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

PDF Eraser Free

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის „მშენებლობის წარმოება - თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი" განხორციელების შესახებ ეფუძნება კოლეჯის მიერ ჩატარებულ კვლევის შედეგებს, დასაქმების მაჩვენებელსა და თვითდასაქმების შესაძლებლობას.

საგანმანათლებლო დაწესებულების მისიაა:

„პროფესიული განათლების სისტემის ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან დაახლოებით და თავსებადობით, მრავალპროფილური პროფესიული განათლებით წვლილი შევიტანოთ ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრისთვის კონკურენტუნარიანი კადრების მიწოდებით. სოციალური ინკლუზიით, ინდივიდის პიროვნული და პროფესიული განვითარებით, მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ხელშეწყობით უზრუნველყოს საზოგადოებრივი კეთილდღეობის ზრდა. თქვენი წარმატება ჩვენი მისიაა!".

კოლეჯის სტრატეგიული განვითარების გეგმის ამოცანად განსაზღვრულია თანამედროვესწავლებისსხვადასხვამეთოდებისა დამიდგომებისდანერგვა (დირექტორის ბრძანება N01-04/13. 29.01.2019 წ).

<u>პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.</u>



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

PDF Eraser Free

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები განსაზღვრულია პროგრამით (დამტკიცებულია დირექტორის 23.07.2018 წლის N01-04/109 ბრძანებით. (ცვლილება 26.08.2018 წლის N01-04/129; 08.11.2018 წლის N 01-04/165; 05.03.2019 წლის N 01-04/35; 24.03.2020 წლის N01-04/49 ბრძანებებით)). დაშვების წინაპირობაა - საბაზო განათლება. პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები განსაზღვრულია „პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის წესით“. რომელიც ითვალისწინებს ჩარიცხვის პროცესთან დაკავშირებულ ყველა პროცედურას. დოკუმენტიეფუძნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის №152/ნ ბრძანებით დამტკიცებულ პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულებას. (ცვლილება *(28.05.2020 N59/ნ).*

**საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.**

**3.** სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯს „ახალი ტალღა“ შემუშავებული აქვს დოკუმენტი - „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“ (დამტკიცებულია დირექტორის 2018 წლის 10 აგვისტოს N 01-04/122 ბრძანებით). დოკუმენტში გაწერილია კონკრეტულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის დროს გასათვალისწინებელი გარემოებები, როგორც მოდულური ასევე დუალური მიდგომით განხორციელებიის დროს. **პროგრამაზე „მშენებლობის წარმოება - თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი“ , სტუდენტთა რაოდენობა გათვლილია და შესაბამისობაშია „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიასთან“.**

საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობად განსაზღვრულია 25 პროფესიული სტუდენტი.

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტთან, კერძოდ, პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილია A, B და C გარემო შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობით. პროგრამით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი განთავსებულია კოლეჯის ბიბლიოთეკაში, როგორც ნაბეჭდი, ასევე ელექტრონული სახით.

**საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

PDF Eraser Free

5. საგანმანათლებლო პროგრამას არჩევითი მოდული არ გააჩნია.
6. „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიის" დოკუმენტის მიხედვით განსაზღვრულია პროგრამების დამტკიცებაზე უფლებამოსილი პირი - კოლეჯის დირექტორი (დირექტორის 16.06.2020 წლის N01-04/84 ბრძანება.). საგანმანათლებლო პროგრამა „მშენებლობის წარმოება - თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი" დამტკიცებულიადირექტორის 23.07.2018 წლის N01-04/109 ბრძანებით, ბოლო ცვლილება განხორციელდა24.03.2020 წლის N01-04/49 ბრძანებებით.

**საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის მიერ.**

7. პროგრამის სახელწოდება „მშენებლობის წარმოება - თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი" შესაბამისობაშია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2017 წლის 29 დეკემბრის №844 ბრძანებით დამტკიცებულ ჩარჩო დოკუმენტთან - ,,მშენებლობის წარმოება", (ცვლილება 2019 წლის 31 იანვარი N 85/ი). **პროგრამის სახელწოდება შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან, მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან - „საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია კედლის დაფარვის სამუშაოებში".**
8. საგანმანათლებლო პროგრამა „მშენებლობის წარმოება - თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი" სრულ შესაბამისობაშია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2017 წლის 29 დეკემბრის №844 ბრძანებით დამტკიცებულ ჩარჩო დოკუმენტთან - ,,მშენებლობის წარმოება", (ცვლილება 2019 წლის 31 იანვარი N 85/ი).

საგანმანათლებლო პროგრამა „მშენებლობის წარმოება - თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი" შეესაბამება კოლეჯის დირექტორის 16.06.2020 წლის N01-04/84 ბრძანებით დამტკიცებული "პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის,შემუშავების,განხორციელების შეფასებისა და განვითარებისმეთოდოლოგიას".პროგრამის მოდიფიცირება განხორცილებულია აღნიშნული წესისა და პროცედურების სრული დაცვით.

**საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საგანმანათლებლო პროგრამა „მშენებლობის წარმოება - თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი";



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------

PDF Eraser Free

- “პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია” (დირექტორის ბრძანება 16.06.2020 წლის N01-04/84);
- ჩარჩო დოკუმენტი - ,,მშენებლობის წარმოება“, (ცენტრის დირექტორის ბრძანება №844. 29.12. 2017 წ. ცვლილება N 85/ი; 31.01.2019 წ );
- „პროფესიულსტუდენტთაზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“ (დირექტორი სბრძანება N 01-04/122; 10.08.2018 წ);
- კოლეჯის „სტრატეგიული განვითარების გეგმა“ (დირექტორის ბრძანება N01-04/13. 29.01.2019 წ);
- დირექტორის 27.02.2020 წლის N 01-04/28 (ცვლილება: 16.06.2020 წლის N 01-04/83 ) ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის წესი“;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის №152/ნ ბრძანებით დამტკიცებულ პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულება. (ცვლილება (28.05.2020 N59/ნ);
- კოლეჯის „სტრატეგიული განვითარების გეგმა“ (დირექტორის ბრძანება N01-04/13. 29.01.2019 წ);
- კოლეჯის მისია https://www.kpc.ge/mission.html ;
- ინტერვიურება კოლეჯის ადმინისტრაციასთან.

შეფასება:

- ■შეესაბამება
- ☐მეტწილად შეესაბამება
- ☐ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐არ შეესაბამება

## 2.2. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

### 2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. როგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

PDF Eraser Free

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

**კომპონენტის/კრიტერიუმისმოთხოვნებთანშესაბამისობისაღწერითიმიმოხილვადაანალიზი**:

1.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება მიმდინარეობს დუალური მიდგომით, ამიტომ საჭიროება არ იყო კოლეჯს პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად ჰქონოდა შესაბამისი C გარემო. განხორციელების მიდგომის შეცვლით დადგა აუცილებლობა გადამოწმდეს მოდულური მიდგომის პირობებში სწავლის შედეგების მისაღწევად დაწესებულების მატერიალური რესურსის C გარემოში არსებობა, საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობად განსაზღვრული 25 პროფესიული სტუდენტისთვის. ვიზიტის დროს გადამოწმდა კოლეჯის მფლობელობაში არსებული საგანმანათლებლო პროგრამის „მშენებლობის წარმოება - თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი“ C გარემო. ასევე განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსის ჩამონათვალი, რომელიც შესაბამისად ჩარჩო დოკუმენტში განსაზღვრულ მატერიალური რესურსის ჩამონათვალის იდენტურია და განთავსებულია კოლეჯის C გარემოში. გადამოწმდა ასევე პროგრამის განსახორციელებლად საჭირო A და B გარემო და მატერიალური რესურსების შესყიდვებისა და მიღება-ჩაბარების დოკუმენტაცია.
**პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.**
2.პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 11 პროფესიული განათლების მასწავლებელი. სპეციალიზაციის მოდულებისგანსახორციელებლად, დარგის მასწავლებლად განსაზღვრულია 2 პროფესიული მასწავლებელი. აქედან გამომდინარე, პროგრამის განხორციელების მდგრადობა უზრუნველყოფილია. პროფესიული განათლების მასწავლებლის (საშტატო) დატვირთვის გაანგარიშებისას კოლეჯი ითვალისწინებს მასწავლებლის მიერ განსახორციელებელ სხვა აქტივობებსაც, კერძოდ: მოდულის ადაპტირება, შეფასების ინსტრუმენტების შექმნა, ვერიფიკაცია, სტუდენტთა ნაშრომების გასწორება, შეფასების პროცესი, პროფესიული განვითარება, მონაწილეობა სამუშაო და ადმინისტრაციულ შეხვედრებში და სხვ.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

PDF Eraser Free
მათი საკონტაქტო საათების დატვირთვა ერთი პროგრამის მიზნებისათვის არის სასწავლო გეგმის მიხედვით 2 ცვლიანი სწავლების პირობებში კვირაში დაახლოებით 30-32 საათი.

**<u>პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.</u>**

3.ვიზიტისას, ექსპერტთა მიერ შემოწმებულ იქნა „მშენებლობის წარმოება - თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი" პროგრამისათვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეები. პირად საქმეებში წარმოდგენილი დოკუმენტებით პროფესიულ მასწავლებლებს უდასტურდებათ დარგის შესაბამისი კომპეტენცია. ხარისხის მართვის მენეჯერმა ინტერვიურებისას აღნიშნა, რომ „მშენებლობის წარმოება - თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი" პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებლებმა გაიარეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შეთავაზებული „პროფესიული განათლების მასწავლებელთა პედაგოგიური პროგრამის კურსი".

**<u>პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;</u> რაც დასტურდება ასევე პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ინტერვიურებისას.**

**4.**„პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიის" შესაბამისად (დამტკიცებულია დირექტორის N01-04/84 ბრძანებით. 16.06.2020 წ.მუხლი 4. პროგრამის შემუშავების პროცესი), 21-ე პუნქტის მიხედვით, **<u>პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი განსაზღვრულია პროგრამით და ის ცალკე ბრძანებით არ მტკიცდება.</u>**

***<u>ვიზიტის დროს ექსპერტთა მხრიდან გაიცა რეკომენდაცია პროგრამის ხელმძღვანელებისათვის გაეწერათ სამუშაო აღწერილობები. დაწესებულებამ გაითვალისწინა აღნიშნული რეკომენდაცია და წარმოადგინა ბრძანება №01-04/91 (26.06.2020 წ), პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელების განსაზღვრის და მათი პროგრამის ხელმძღვანელების სამუშაო აღწერილობის (საკვალიფიკაციო მოთხოვნის, ფუნქცია-მოვალეობების) განსაზღვრის შესახებ. აღნიშნული ბრძანებით განისაზღვრა „მშენებლობის წარმოება - თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი" პროგრამის ხელმძღვანელი და მისი სამუშაო აღწერილობები დანართის სახით.</u>***

ექსპერტთა მიერ გადამოწმდა პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე. წარმოდგენილი დოკუმენტაციით უდასტურდება შესაბამის დარგში სამუშაო გამოცდილება. პროგრამის ხელმძღვანელს ასევე გავლილი აქვს სხვადასხვა ტრენინგები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

PDF Eraser Free

<u>საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.</u>

5.კოლეჯში ვიზიტისას ექსპერტთა მიერ შემოწმდა ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსი. საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია სასწავლო რესურსით. ბიბლიოთეკაში სახელმძღვანელოები განთავსებულია როგორც ბეჭდური სახით, ასევე ელექტრონული სახით. დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით კოლეჯის ვებ გვერდზე (https://www.kpc.ge/library.html). ექსპერტთა მიერ გადამოწმდა ელ. ფოსტის აღნიშნული მისამართი.

<u>საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით და დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით. მათი გამოყენება შესაძლებელია სასწავლო პროცესში.</u>

6. კოლეჯის შენობა, მათ შორის ბიბლიოთეკა, ადაპტირებულია სსსმ პირთათვის, ამავე დროს, კოლეჯს ჰყავს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი და სსსმ პირთა ასისტენტი. კოლეჯში გაწერილია ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტისა და სსსმ პირთა ასისტენტის ფუნქციები. <u>ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის ფუნქცია აუზრუნველყოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტთათვის სასწავლო პროცესის და სასწავლო გარემოს მათი ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით განსაზღვრა, ხოლო სსსმ პირთა ასისტენტის ფუნქციაა უზრუნველყოს სტუდენტის სამუშაო და სასწავლო მასალის ადაპტირება.</u> ინტერვიურებისას ხარისხის მართვის მენეჯერმა განმარტა, რომ აღნიშნული <u>რეალურად დანერგილი პრაქტიკაა</u> კოლეჯში, თუმცა ამ ეტაპზე კონკრეტულად ამ პროგრამაზე სტუდენტი არ ირიცხება.

<u>სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;</u>

7. ვიზიტისას კოლეჯმა წარმოადგინა პროგრამის ბიუჯეტი, სადაც განსაზღვრულია შემოსავლების ნაწილი და ხარჯების ნაწილი. შემოსავლების ნაწილში სულ განსაზღვრულია - 88 550 ლარი და ხარჯების ნაწილში - 88 550 ლარი. ხარჯების ნაწილი მოიცავს - შრომის ანაზღაურებას 1227 სთ, ნედლეულისა და მასალის ხარჯებს, გაუთვალისწინებელ და პროგრამის ამორტიზაციის ხარჯებს. აღსანიშნავია, რომ 10 სტუდენტიანი ჯგუფი ანაზღაურებს თავის თავს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

PDF Eraser Free

კოლეჯის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. სწავლება ფინანსდება სამინისტროს მიერ.პროგრამაფინანსდებავაუჩერულად.

<u>**პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.**</u>

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- პროფესიული განათლების მასწავლებლების და პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმეები;
- საგანმანათლებლო პროგრამის „მშენებლობის წარმოება - თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი“ პაკეტი;
- „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია“ (დამტკიცებული დირექტორის N01-04/84 ბრძანებით. 16.06.2020 წ);
- „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელების განსაზღვრის და მათი პროგრამის ხელმძღვანელების სამუშაო აღწერილობის (საკვალიფიკაციო მოთხოვნის, ფუნქცია-მოვალეობების) განსაზღვრის შესახებ“ (ბრძანება №01-04/91 (26.06.2020 წ));
- კოლეჯის ვებ გვერდი https://www.kpc.ge/library.html ;
- ელექტრონული სახელმძღვანელოები https://www.kpc.ge/library.html;
- „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“ (დირექტორის ბრძანება N 01-04/122; 10.08.2018 წ);
- პროგრამის ბიუჯეტი;
- საგანმანათლებლო სივრცეების ვიზუალური დათვალიერებით;
- პროგრამის ხელმძღვანელის და განმახორციელებელი მასწავლებლების ინტერვიურება.

**შეფასება:**

■შეესაბამება
☐მეტწილად შეესაბამება
☐ნაწილობრივ შეესაბამება
☐არ შეესაბამება

**2.4. სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება**

**2.4.1** სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;

PDF Eraser Free

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლოპროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. კოლეჯის მიერ წარმოდგენილია სასწავლო გეგმა, სადაც მოდულების სწავლების თანმიმდევრობა ლოგიკურადაა განსაზღვრული. კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენელმა ინტერვიურებისას აღნიშნა, რომ „მშენებლობის წარმოება - თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი“ პროგრამის სასწავლო გეგმის და საათების განაწილების ტარიფიკაციის შესაბამისად მუშავდება გაკვეთილების განრიგი - ცხრილი. პროფესიული განათლების მასწავლებლები მოდულის დაწყებამდე შეიმუშავებენ კალენდარულ გეგმებს კოლეჯში დირექტორის ბრძანებით (15.10.2019 წლის N01-04/171) დამტკიცებული „კალენდარული გეგმის“ ფორმის შესაბამისად. <u>ინტერვიურებისას ასევე აღინიშნა, რომ მიმდინარე პერიოდში, „მშენებლობის წარმოება - თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი“ პროგრამაზე დუალური მიდგომით სწავლებისას, დაცულია სასწავლო გეგმასთან შესაბამისობა.</u>

**<u>აღსანიშნავია, რომ ამჟამად „მშენებლობის წარმოება - თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი“ პროგრამაზე მოდულური მიდგომით სწავლა არ ხორციელდება.</u>**

2. ინტერვიურებისას კოლეჯის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ზოგადად კოლეჯში დამკვიდრებული პრაქტიკით სწავლა პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით ხორციელდება ორ ცვლაში, სადაც სტუდენტს აქვს ცვლის არჩევის შესაძლებლობა. კოლეჯს გააჩნია გამოცდილება შშმ პირებისათვის უზრუნველყოს დამატებითი ხელშეწყობის პირობები სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების დროს. ამჟამად პროგრამაზე ირიცხება 6 პროფესიული სტუდენტი. სწავლა ხორციელდება დუალური მიდგომით. ინტერვიურებისას კოლეჯის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

PDF Eraser Free
მოდულური მიდგომით სწავლის განხორციელებისას სასწავლო პროცესის ორგანიზება განხორციელდება სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მათთვის ყველა ხელშეწყობის ღონისძიება იქნება ხელმისაწვდომი.

**პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;**

3. „მშენებლობის წარმოება - თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟის" პროგრამაზე სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. პროფესიული განათლების მასწავლებლებმა ინტერვიურებისას აღნიშნეს, რომ დაწესებულება ზრუნავს მათ გადამზადებაზე სხვადასხვა მიმართულებით. მათ შორის სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდებზე და თანამედროვე ტექნოლოგიებზე. აღნიშნული ტრენინგები ტარდება როგორც მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ, ასევე კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფის მიერ. საკონსულტაციო შეხვედრები დასტურდება დასწრების ფურცლებით. აღსანიშნავია, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლებმა პირად საქმეებში წარმოდგენილია შესაბამისი სერთიფიკატები. A, B და C გარემოს ვიზუალურად დათვალიერებამ უჩვენა, რომ კოლეჯს აქვს ყველა შესაძლებლობა სასწავლო პროცესი თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით წარმართოს და უზრუნველყოს სტუდენტებისთვის დარგის უახლესი მიღწევების გაცნობა სხვადასხვა საკომუნიკაციო და სადემონსტრაციო აღჭურვილობის გამოყენებით. ასევე, აღსანიშნავია, რომ კოლეჯის საკუთრებაშია თანამედროვე სამუშაო ინვენტარი და დანადგარები. კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებლები დარგის თანამედროვე ტექნოლოგიებს ეცნობიან კომპანია „kNAUF"-ის მიერ ჩატარებული ტრენინგებით, რასაც მეცადინეობების დროს გადასცემენ პროფესიულ სტუდენტებს..

**სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.**

4. დაწესებულებას გააჩნია „სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მუშავების პროცედურები" (დირექტორის ბრძანება N01-04/35. 20.03.2018 წ), რომელიც საჭიროების დადგენის გზით უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტისთვის ყველაზე ოპტიმალური სასწავლო გეგმის შედგენას და დამტკიცებას. ინტერვიურებისას კოლეჯის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის მორგებული სერვისების შეთავაზების პირობებს პროგრამის ჩანაწერებიც მოიცავს. მიმდინარე ეტაპზე, სწავლება მილევად რეჟიმში მიმდინარეობს

PDF Eraser Free
დუალური მიდგომით. პროგრამაზე არ ირიცხება სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტი და ინდივიდუალური სწავლის შედეგების მიღწევისას პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინება არ განხორციელებულა.
**აღსანიშნავია, რომ ამჟამად „მშენებლობის წარმოება - თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი“ პროგრამაზე მოდულური მიდგომით სწავლა არ ხორციელდება.**

5. **საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო გეგმით გათვალისწინებული პრაქტიკის კომპონენტი ხორციელდება კოლეჯის ბაზაზე C გარემოში.** აღსანიშნავია, რომ კოლეჯთან თანამშრომლობს კომპანია „kNAUF“. ინტერვიურებისას პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ დიდი მხარდაჭერა აქვთ კომპანიისგან. კომპანიის წარმომადგენლები ზრუნავენ, რომ გააცნონ ახალი ტექნოლოგიები, ახალი მასალები.  პერიოდულად ახდენენ მათ გადამზადებას სხვადასხვა რეგიონებში. პროფესიული განათლების მასწავლებლები პროფესიულ სტუდენტებს ასწავლიან და აცნობენ ახალ ტექნოლოგიებს.

კოლეჯს ყავს უსაფრთხოებაზე იდენტიფიცირებული პასუხისმგებელი პირი-სპეციალისტი, რომელიც პერიოდულად პროფესიულ სტუდენტებს და პერსონალს უტარებს ინსტრუქტაჟს უსაფრთხოების შესახებ. დაწესებულება სწავლების განხორციელებას უზრუნველყოფს უსაფრთხოების ნორმების დაცვით. დაწესებულებას გააჩნია შესაბამისი აღჭურვილობა, უსაფრთხოების მანიშნებლები და შესაბამისი ინსტრუქციები, რომელიც შესაბამის ფართზე თვალსაჩინოდაა გამოკრული გასაცნობად და სახელმძღვანლოდ.

აღსანიშნავია, რომ პროფესიული მასწავლებლებიც გადამზადებულნი არიან უსაფრთხოების საკითხებში გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების მიერ მოწვეული ექსპერტების მიერ. მათ გააჩნიათ შესაბამისი სერთიფიკატები.

6.კოლეჯმა ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა დირექტორის ბრძანება №01-04/90 (26.06.2020 წ.) „სსიპ-კოლეჯში „ახალი ტალღა“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „მშენებლობის წარმოება-სამღებრო სამუშაოები“, „მშენებლობის წარმოება-იატაკისა და ფილის სამუშაოები“ და „მშენებლობის წარმოება-თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი“ ლაბორატორიებისთვის შრომის უსაფრთხოების წესი და ლაბორატორიაში პროფესიული სტუდენტების/მსმენელების შრომის უსაფრთხოების წესის გაცნობის/ინსტრუქტაჟის ჩატარების ჟურნალის (ფორმის) დამტკიცების შესახებ“. შრომის უსაფრთხოების წესი გაკრულია C გარემოში. ინტერვიურებისას პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ყოველი პრაქტიკული მეცადინეობის დაწყების წინ პროფესიულ სტუდენტებს ჩაუტარებენ ინსტრუქტაჟს და შესაბამის ჟურნალში



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:    ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:  ------------------------

------------------------

PDF Eraser Free
დააფიქსირებენ ხელმოწერით. აღსანიშნავია, რომ პროგრამის ფარგლებში, თვითოეული პროფესიული სტუდენტისთვის შეძენილია ინდივიდუალური დაცვის საშუალებები - სპეც ტანსაცმელი, სათვალეები და რესპირატორი.
<u>**სასწავლო პროცესი წარიმართება უსაფრთხო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.ამჟამად „მშენებლობის წარმოება - თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟის“ პროგრამაზე მოდულური მიდგომით სწავლა არ ხორციელდება.**</u>

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- „სსიპ-კოლეჯში „ახალი ტალღა“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „მშენებლობის წარმოება-სამღებრო სამუშაოები“, „მშენებლობის წარმოება-იატაკისა და ფილის სამუშაოები“ და „მშენებლობის წარმოება-თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი“ ლაბორატორიებისთვის შრომის უსაფრთხოების წესი და ლაბორატორიაში პროფესიული სტუდენტების/მსმენელების შრომის უსაფრთხოების წესის გაცნობის/ინსტრუქტაჟის ჩატარების ჟურნალის (ფორმის) დამტკიცების შესახებ“ . (დირექტორის ბრძანება №01-04/90. 26.06.2020 წ.);
- „სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცედურები“ (დირექტორის ბრძანება N01-04/35. 20.03.2018 წ);
- „კალენდარული გეგმის“ ფორმის დამტკიცების შესახებ (15.10.2019 წლის N01-04/171);
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- პირადი საქმეები;
- ვიზუალრი დათვალიერება;
- ინტერვიურება კოლეჯის წარმომადგენლებთან.

**შეფასება:**

■შეესაბამება
☐მეტწილად შეესაბამება
☐ნაწილობრივ შეესაბამება
☐არ შეესაბამება

**2.4.2.** შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას.

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

PDF Eraser Free

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

**კომპონენტის/კრიტერიუმისმოთხოვნებთანშესაბამისობისაღწერითიმიმოხილვადაანალიზი**:

1. პროფესიულ სტუდენტთა შეფასება ხორციელდება დირექტორის 2017 წლის 31 ივლისის N 01-04/97 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულსაგანმანათლებლო პროგრამაზეჩარიცხულიპროფესიულისტუდენტისშეფასებასთანდაკავშირებული რეგულაციების“ მიხედვით. კოლეჯში დამტკიცებულია შეფასების ინსტრუმენტის ფორმა, რომლის მიხედვითაც ხდება ინსტრუმენტის შემუშავება (ინსტრუმენტებია ფორმები განთავსებულია კოლეჯის ვებ-გვერდზე: https://kpc.ge/quality.html ). დამატებით კოლეჯში მოქმედებს პროფესიული სტუდენტების, კოლეჯის თანამშრომელბის და მოქალაქეების მიერ შემოსული საჩივრების/პრეტენზიების განმხილველი მუდმივმოქმედი კომისია (31.07.2017 წლის ბრძ 01-04/94), რომელიც განიხილავს შემოსულ საჩივრებს, მ. შ. შეფასებასთან დაკავშირებით. ამჟამად **„მშენებლობის წარმოება - სამღებრო სამუშაოების“ პროგრამაზე მოდულური მიდგომით სწავლა არ ხორციელდება. პროგრამის მიზნებისთვის გაწერილი შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური, თუმცა** აღსანიშნავია, რომ ინტერვიურებისას პროფესიული განათლების მასწავლებლებმა სურვილი გამოთქვეს, რათა მოხდეს მათი გადამზადება შეფასების ინსტრუმენტების შექმნის საკითხებთან დაკავშირებით.

**რეკომენდაცია მიეცათ მოხდეს პროფესიული მასწავლებლების გადამზადება პროფესიულ სტუდენტთა შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების საკითხებზე.**

2. შიდა ვერიფიკაციას ახორციელებს შიდა ვერიფიკატორი, რომელიც შესაძლოა იყოს კოლეჯის იმავე მოდულის სხვა მასწავლებელი ან იმავე პროგრამის სხვა მოდულის მასწავლებელი და ადმინისტრაციის წარმომადგენელი, რომელთაც გააჩნიათ შესაბამისი ცოდნა. შიდა ვერიფიკატორი პირველ ეტაპზე ადასტურებს „მოდულის შეფასების ინსტრუმენტში“ ასახული სწავლის შედეგების, მოცემული დავალებისა და სცენარის, შესრულების კრიტერიუმებისა და დავალების შეფასების კრიტერიუმების, როგორც ერთმანეთთან თავსებადობა-შესაბამისობას, ასევე სწავლის შედეგების შესრულების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

PDF Eraser Free
მტკიცებულებების შესაბამისობას შერჩეულ შეფასების ინსტრუმენტთან. შიდა ვერიფიკაციის პირველ ეტაპზე ვერიფიკატორს პროფესიულ მასწავლებელთან უკუკავშირის საშუალებით საჭიროების შემთხვევაში შეაქვს შესაბამისი ცვლილება „მოდულის შეფასების ინსტრუმენტში" მეორე ეტაპზე (მოდულის დასრულებიდან არაუმეტეს ერთ კვირაში) შიდა ვერიფიკატორი ამოწმებს შეგროვებული მტკიცებულებების ავთენტიკურობასა და კომპეტენციების დადასტურებისათვის საკმარისობას და შემოწმების შედეგების ანგარიშს წარმოადგენს დასკვნის სახით.

<u>პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;</u>

3. მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვა და შენახვა, შემდეგი პროცედურების დაცვით: მოდულის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებელი ინახავს პროფესიული სტუდენტის შეფასების მტკიცებულებებს მოდულის დასრულებამდე. შეფასების უწყისს წარადგენს სასწავლო პროცესის სპეციალისტთან მოდულის დასრულებიდან 1 დღის ვადაში, რის საფუძველზეც სასწავლო პროცესის სპეციალისტი სწავლის შედეგების შეფასების უწყისის მონაცემებს ასახავს უწყისების აღრიცხვის ჟურნალში. პროგრამის ხელმძღვანელი (ან/და კონკრეტული ჯგუფის ხელმძღვანელი, რომელიც განსაზღვრულია შესაბამისი ბრძანებით) მოდულის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლისგან შესაბამისი დოკუმენტის საფუძველზე ჩაიბარებს თითოეული პროფესიული სტუდენტის შეფასების მტკიცებულებებს, მოდულის დასრულებიდან 5 დღის ვადაში; ხოლო, როცა მოდული სხვა განსახორციელებელ მოდულზე დაშვების წინაპირობაა მოდულის დასრულებიდან ერთი დღის ვადაში; პროგრამის დასრულების შემდეგვ სასწავლო პროცესის სპეციალისტი და პროგრამის ხელმძღვანელი საკვალიფიკაციო კომისიას წარუდგენს ყველა პროფესიული სტუდენტის შეფასების უწყისსა და მტკიცებულებებს, რის საფუძველზეც კომისია მიიღებს გადაწყვეტილებას კვალიფიკაციის მინიჭება/არმინიჭების შესახებ. საკვალიფიკაციო კომისიის სხდომის შემდეგ შეფასების უწყისები და მტკიცებულებები ჩაბარდეს სასწავლო პროცესის სპეციალისტს, რომელიც შესაბამისი აქტის საფუძველზე გადასცემს არქივს.არქივს. არქივი უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით; მტკიცებულებების პროფესიულ სტუდენტზე გადაცემა ან განადგურება უნდა განხორციელდეს შესაბამისი აქტის საფუძველზე. აქტის შენახვის ვადა განისაზღვროს მისი გაფორმებიდან არაუგვიანეს ერთი წლისა. პროფესიული სტუდენტის შეფასების უწყისის შენახვის ვადა კოლეჯში განისაზღვროს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის შესაბამისად საარქივო დაწესებულებაზე გადაცემამდე ან მუდმივად სასწავლო პროცესში გამოიყენება განმავითარებელი შეფასება, რომელიც მასწავლებელს აძლევს საშუალებას, შეამოწმოს სტუდენტების გაგების/გააზრების დონე და შესაბამისად დაგეგმოს



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

PDF Eraser Free
სწავლების პროცესი, ასევე მისცეს რეკომენდაცია სტუდენტს თუ რა კუთხით გააქტიუროს მუშაობა განმსაზღვრელი შეფასებისთვის.

**პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;**

4. სასწავლო პროცესში გამოიყენება განმავითარებელი შეფასება, რომელიც მასწავლებელს აძლევს საშუალებას, შეამოწმოს სტუდენტების გაგების/გააზრების დონე და შესაბამისად დაგეგმოს სწავლების პროცესი, ასევე მისცეს რეკომენდაცია სტუდენტს თუ რა კუთხით გააქტიუროს მუშაობა განმსაზღვრელი შეფასებისთვის.

**პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დირექტორის 2017 წლის 31 ივლისის N 01-04/97 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტის შეფასებასთან დაკავშირებული რეგულაციები“
- სსიპ კოლეჯში ,,ახალიტალღა“ 15.10.2019 წლის N 01-04/171 ბრძანებით დამტკიცებული „მოდიფიცირებული კალენდარული გეგმის ფორმის, შეფასების ინსტრუმენტის ფორმის (4 სხვადასხვა დავალებებისათვის) და უწყისის ფორმის დამტკიცების, ამასთან სსიპ კოლეჯში ,,ახალი ტალღა“ შეფასების ინსტრუმენტის შეფასების კითხვარის ფორმის, საკონტაქტო საათზე დასწრების კითხვარის ფორმის, პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული შედეგების მტკიცებულებების შემოწმების კითხვარის ფორმის და შეფასების პროცესის განხორციელებაზე დაკვირვების ფურცელის ფორმის დამტკიცების შესახებ“
- დირექტორის 09.11.2018 წლის N01-04/169 ბრძანებით დამტკიცებული „სტუდენტებისშეფასებისმტკიცებულებებისშენახვის ვადებისა და შენახვაზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრის წესი“ (ცვლილება 16.01.2020 წლის N01-04/04 ბრძანება)
- დუალური მიდგომით განხორციელებული პროგრამის ფარგლებში დასრულებული მოდულების შეფასების ინსტრუმენტები,უწყისები და მტკიცებულებები;
- დირექტორის 11.12.2017 წლის N01-04/188 ბრძანებით დამტკიცებული „მოდულური საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების სასწავლო პროცესში მიღწეული სწავლის შედეგების გასაჩივრების ვადების დადგენასთან დაკავშირებით, სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის ,,ახალი ტალღა’’ მოდულური პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების, შეფასების მტკიცებულებების შენახვის ვადების და მტკიცებულების შენახვაზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრის შესახებ კოლეჯის 2015 წლის 17 ნოემბრის №01-04/135 და კოლეჯის 2017 წლის 27 სექტემბრის №01-04/130 ბრძანებაში და მის დანართ№1-ში ცვლილების განხორციელების, ამასთან კოლეჯის 2017 წლის 31 ივლისის №01-04/94 ბრძანებით შექმნილ სსიპ საზოგადობრივი კოლეჯში ,,ახალი ტალღა“ პროფესიული სტუდენტების, კოლეჯის თანამშრომელბის და მოქალაქეების მიერ შემოსულისაჩივრების/პრეტენზიების განმხილველ მუდმივმოქმედი კომისის შესახებ“



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

PDF Eraser Free

შეფასება:

☒შეესაბამება
☐მეტწილად შეესაბამება
☐ნაწილობრივ შეესაბამება
☐არ შეესაბამება

## XI.ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მშენებლობის წარმოება - იატაკისა და ფილის სამუშაოები“ შესახებ

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | მშენებლობის წარმოება - იატაკისა და ფილის სამუშაოები |
| პროფესიული განათლების საფეხური / დონე | მესამე დონე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია იატაკისა და ფილის სამუშაოებში |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0732 |
| პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები | დამტკიცებულია სსიპ-კოლეჯი ,,ახალი ტალღა“ დირექტორის 23.07.2018 წლის N01-04/109 ბრძანებით (ცვლილება 26.08.2018 წლის N01-04/129; 08.11.2018 წლის N 01-04/165; 05.03.2019 წლის N 01-04/35 24.03.2020 წლის N01-04/49 ბრძანებებით) |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები) | ქობულეთი, რუსთაველის ქ N154 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით | 25 პროფესიული სტუდენტი, მოდულური, ქობულეთი, რუსთაველის ქ N154 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------

PDF Eraser Free

| | |
|---|---|
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან,პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).* | - |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 82 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 97 |

## სტანდარტის შეფასება

### პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

**2.საგანმანათლებლო პროგრამები**

**2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.**

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

PDF Eraser Free

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

**კომპონენტის/კრიტერიუმისმოთხოვნებთანშესაბამისობისაღწერითიმიმოხილვადაანალიზი**:

1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის „მშენებლობის წარმოება - იატაკისა და ფილის სამუშაოები" განხორციელების შესახებ ეფუძნება კოლეჯის მიერ ჩატარებულ კვლევის შედეგებს, დასაქმების მაჩვენებელსა და თვითდასაქმების შესაძლებლობას.

საგანმანათლებლო დაწესებულების მისიაა:

„პროფესიული განათლების სისტემის ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან დაახლოებით და თავსებადობით, მრავალპროფილური პროფესიული განათლებით წვლილი შევიტანოთ ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრისთვის კონკურენტუნარიანი კადრების მიწოდებით. სოციალური ინკლუზიით, ინდივიდის პიროვნული და პროფესიული განვითარებით, მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ხელშეწყობით უზრუნველყოს საზოგადოებრივი კეთილდღეობის ზრდა. თქვენი წარმატება ჩვენი მისიაა!".

კოლეჯის სტრატეგიული განვითარების გეგმის ამოცანად განსაზღვრულია თანამედროვე სწავლების სხვადასხვა მეთოდებისა დამიდგომების დანერგვა (დირექტორის ბრძანება N01-04/13. 29.01.2019 წ).

**<u>პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.</u>**

2.საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები განსაზღვრულია პროგრამით (დამტკიცებულია დირექტორის 23.07.2018 წლის N01-04/109 ბრძაზებით. (ცვლილება 26.08.2018 წლის N01-04/129; 08.11.2018 წლის N 01-04/165; 05.03.2019 წლის N 01-04/35; <u>24.03.2020 წლის N01-04/49 ბრძანებებით)</u>). დაშვების წინაპირობაა - საბაზო განათლება. პროგრამაზე ჩარიცხვის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

PDF Eraser Free
პროცედურები განსაზღვრულია „პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის წესით“. რომელიც ითვალისწინებს ჩარიცხვის პროცესთან დაკავშირებულ ყველა პროცედურას. დოკუმენტიეფუძნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის №152/ნ ბრძანებით დამტკიცებულ პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულებას. (ცვლილება *(28.05.2020 N59/ნ).*

**<u>საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.</u>**

3.სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯს „ახალი ტალღა“ შემუშავებული აქვს დოკუმენტი - „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“ (დამტკიცებულია დირექტორის 2018 წლის 10 აგვისტოს N 01-04/122 ბრძანებით). დოკუმენტში გაწერილია კონკრეტულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის დროს გასათვალისწინებელი გარემოებები, <u>როგორც მოდულური ასევე დუალური მიდგომით განხორციელებიის დროს</u>.

**<u>პროგრამაზე „მშენებლობის წარმოება - სამღებრო სამუშაოები“, სტუდენტთა რაოდენობა გათვლილია და შესაბამისობაშია „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიასთან“.</u>**

საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობად განსაზღვრულია 25 პროფესიული სტუდენტი.

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტთან, კერძოდ, პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილია A, B და C გარემო შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობით. პროგრამით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი განთავსებულია კოლეჯის ბიბლიოთეკაში, როგორც ნაბეჭდი, ასევე ელექტრონული სახით.

**<u>საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას</u>**

5.საგანმანათლებლო პროგრამას არჩევითი მოდული არ გააჩნია.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

PDF Eraser Free

6. „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიიის“ დოკუმენტის მიხედვით განსაზღვრულია პროგრამების დამტკიცებაზე უფლებამოსილი პირი - კოლეჯის დირექტორი (დირექტორის 16.06.2020 წლის N01-04/84 ბრძანება.). საგანმანათლებლო პროგრამა «მშენებლობის წარმოება - სამღებრო სამუშაოები» დამტკიცებულია დირექტორის 23.07.2018 წლის N01-04/109 ბრძანებით, ბოლო ცვლილება განხორციელდა 24.03.2020 წლის N01-04/49 ბრძანებებით.

საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის მიერ.

7. პროგრამის სახელწოდება „მშენებლობის წარმოება - იატაკისა და ფილის სამუშაოები“ შესაბამისობაშია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2017 წლის 29 დეკემბრის №844 ბრძანებით დამტკიცებულ ჩარჩო დოკუმენტთან - ,,მშენებლობის წარმოება“, (ცვლილება 2019 წლის 31 იანვარი N 85/ი). **პროგრამის სახელწოდება შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან, მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან - „საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია** იატაკისა და ფილის სამუშაოებში“.

8. საგანმანათლებლო პროგრამა „მშენებლობის წარმოება -იატაკისა და ფილის სამუშაოები“ სრულ შესაბამისობაშია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2017 წლის 29 დეკემბრის №844 ბრძანებით დამტკიცებულ ჩარჩო დოკუმენტთან - ,,მშენებლობის წარმოება“, (ცვლილება 2019 წლის 31 იანვარი N 85/ი).

საგანმანათლებლო პროგრამა „მშენებლობის წარმოება - იატაკისა და ფილის სამუშაოები“ შეესაბამება კოლეჯის დირექტორის 16.06.2020 წლის N01-04/84 ბრძანებით დამტკიცებული “პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიას”. პროგრამის მოდიფიცირება განხორცილებულია აღნიშნული წესისა და პროცედურების სრული დაცვით.

საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- საგანმანათლებლო პროგრამა „მშენებლობის წარმოება - იატაკისა და ფილის სამუშაოები“;
- “პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის,შემუშავების,განხორციელების შეფასებისა და განვითარებისმეთოდოლოგია” (დირექტორის ბრძანება 16.06.2020 წლის N01-04/84);



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

PDF Eraser Free

- ჩარჩო დოკუმენტი - ,,მშენებლობის წარმოება“, (ცენტრის დირექტორის ბრძანება№844. 29.12. 2017 წ. ცვლილება N 85/ი; 31.01.2019 წ );
- „პროფესიულსტუდენტთაზღვრული რაოდენობისგანსაზღვრისმეთოდოლოგია“ (დირექტორისბრძანებაN 01-04/122; 10.08.2018 წ);
- კოლეჯის „სტრატეგიული განვითარების გეგმა“ (დირექტორის ბრძანება N01-04/13. 29.01.2019 წ);
- დირექტორის 27.02.2020 წლის N 01-04/28 (ცვლილება: 16.06.2020 წლის N 01-04/83 ) ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის წესი“;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის №152/ნ ბრძანებით დამტკიცებულ პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულება. (ცვლილება (28.05.2020 N59/ნ);
- კოლეჯის მისია https://www.kpc.ge/mission.html;
- ინტერვიურება კოლეჯის ადმინისტრაციასთან.

**შეფასება:**

■შეესაბამება

☐მეტწილად შეესაბამება

☐ნაწილობრივ შეესაბამება

☐არ შეესაბამება

## 2.2. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

### 2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. როგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

PDF Eraser Free

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება დაგეგმილი იყო დუალური მიდგომით, ამიტომ საჭიროება არ იყო კოლეჯს პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად ჰქონოდა შესაბამისი C გარემო. განხორციელების მიდგომის შეცვლით დადგა აუცილებლობა გადამოწმდეს მოდულური მიდგომის პირობებში სწავლის შედეგების მისაღწევად დაწესებულების მატერიალური რესურსის C გარემოში არსებობა, საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობად განსაზღვრული 25 პროფესიული სტუდენტისთვის.

ვიზიტის დროს გადამოწმდა კოლეჯის მფლობელობაში არსებული საგანმანათლებლო პროგრამის „მშენებლობის წარმოება - იატაკისა და ფილის სამუშაოები" განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსის ჩამონათვალი, რომელიც შესაბამისად ჩარჩო დოკუმენტში განსაზღვრულ მატერიალური რესურსის ჩამონათვალის იდენტურია და განთავსებულია კოლეჯის C გარემოში. გადამოწმდა ასევე პროგრამის განსახორციელებლად საჭირო A და B გარემო და მატერიალური რესურსების შესყიდვებისა და მიღება-ჩაბარების დოკუმენტაცია.

<u>**პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, პროგრამის მოდულური მიდგომით განხორციელების პირობებში.**</u>

2.„მშენებლობის წარმოება - იატაკისა და ფილის სამუშაოების" პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 14 პროფესიული განათლების მასწავლებელი. სპეციალიზაციის მოდულების განსახორციელებლად, დარგის მასწავლებლად განსაზღვრულია 2 პროფესიული მასწავლებელი. აქედან გამომდინარე, პროგრამის განხორციელების მდგრადობა უზრუნველყოფილია. პროფესიული განათლების მასწავლებლის (საშტატო) დატვირთვის გაანგარიშებისას კოლეჯი ითვალისწინებს მასწავლებლის მიერ განსახორციელებელ სხვა აქტივობებსაც, კერძოდ: მოდულის ადაპტირება, შეფასების ინსტრუმენტების შექმნა, ვერიფიკაცია, სტუდენტთა ნაშრომების გასწორება, შეფასების პროცესი, პროფესიული განვითარება, მონაწილეობა სამუშაო და ადმინისტრაციულ შეხვედრებში და სხვ. მათი საკონტაქტო საათების დატვირთვა ერთი პროგრამის მიზნებისათვის არის სასწავლო გეგმის მიხედვით 2 ცვლიანი სწავლების პირობებში კვირაში დაახლოებით 30-32 საათი.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

PDF Eraser Free
**<u>პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.</u>**

3.ვიზიტისას, ექსპერტთა მიერ შემოწმებულ იქნა „მშენებლობის წარმოება - იატაკისა და ფილის სამუშაოები“ პროგრამისათვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეები. პირად საქმეებში წარმოდგენილი იყო დოკუმენტაცია, რომლითაც უდასტურდებოდათ კომპეტენცია. ხარისხის მართვის მენეჯერმა ინტერვიურებისას აღნიშნა, რომ „მშენებლობის წარმოება - იატაკისა და ფილის სამუშაოები“ პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებლებმა გაიარეს „პროფესიული განათლების მასწავლებელთა პედაგოგიური პროგრამის კურსი“, რომელიც განხორციელდა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ. პროგრამის ხელმძღვანელებმა ინტერვიურებისას დაადასტურეს აღნიშნული საკითხი, თუმცა დამატებითი ტრენინგის ჩატარების სურვილი გამოთქვეს შეფასების ინსტრუმენტების შექმნის საკითხებთან დაკავშირებით.

**<u>პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია; რაც დასტურდება ასევე პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ინტერვიურებისას.</u>**

4. „პროფესიულისაგანმანათლებლოპროგრამისდაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ შესაბამისად (დამტკიცებულია დირექტორის N01-04/84 ბრძანებით. 16.06.2020წ. მუხლი 4. პროგრამის შემუშავების პროცესი), 21-ე პუნქტის მიხედვით, <u>პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი განსაზღვრულია პროგრამით და ის ცალკე ბრძანებით არ მტკიცდება.</u>

***<u>ვიზიტის დროს ექსპერტთა მხრიდან გაიცა რეკომენდაცია პროგრამის ხელმძღვანელებისათვის გაეწერათ სამუშაო აღწერილობები. დაწესებულებამ გაითვალისწინა აღნიშნული რეკომენდაცია და წარმოადგინა ბრძანება №01-04/91 (26.06.2020 წ), პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელების განსაზღვრის და მათი პროგრამის ხელმძღვანელების სამუშაო აღწერილობის (საკვალიფიკაციო მოთხოვნის, ფუნქცია-მოვალეობების) განსაზღვრის შესახებ. აღნიშნული ბრძანებით განისაზღვრა „მშენებლობის წარმოება - სამღებრო სამუშაოების“ პროგრამის ხელმძღვანელი და მისი სამუშაო აღწერილობები დანართის სახით.</u>***

ექსპერტთა მიერ გადამოწმდა პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე. წარმოდგენილი დოკუმენტაციით უდასტურდება შესაბამის დარგში სამუშაო გამოცდილება. პროგრამის ხელმძღვანელს ასევე გავლილი აქვს სხვადასხვა ტრენინგები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

PDF Eraser Free

**საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.**

**5.**კოლეჯში ვიზიტისას ექსპერტთა მიერ შემოწმდა ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსი. საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია სასწავლო რესურსით. ბიბლიოთეკაში სახელმძღვანელოები განთავსებულია როგორც ბეჭდური სახით, ასევე ელექტრონული სახით. დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით კოლეჯის ვებ გვერდზე (https://www.kpc.ge/library.html). ექსპერტთა მიერ გადამოწმდა ელ. ფოსტის აღნიშნული მისამართი.

**საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით და დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით. მათი გამოყენება შესაძლებელია სასწავლო პროცესში.**

6. კოლეჯის შენობა, მათ შორის ბიბლიოთეკა, ადაპტირებულია სსსმ პირთათვის, ამავე დროს, კოლეჯს ჰყავს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი და სსსმ პირთა ასისტენტი. კოლეჯში გაწერილია ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტისა და სსსმ პირთა ასისტენტის ფუნქციები. ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის ფუნქცია აუზრუნველყოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტთათვის სასწავლო პროცესის და სასწავლო გარემოს მათი ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით განსაზღვრა, ხოლო სსსმ პირთა ასისტენტის ფუნქციაა უზრუნველყოს სტუდენტის სამუშაო და სასწავლო მასალის ადაპტირება. ინტერვიურებისას ხარისხის მართვის მენეჯერმა განმარტა, რომ აღნიშნული **რეალურად დანერგილი პრაქტიკაა** კოლეჯში, თუმცა ამ ეტაპზე კონკრეტულად ამ პროგრამაზე სტუდენტი არ ირიცხება.

**სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.**

7. ვიზიტისას კოლეჯმა წარმოადგინა პროგრამის ბიუჯეტი, სადაც განსაზღვრულია შემოსავლების ნაწილი და ხარჯების ნაწილი. შემოსავლების ნაწილში სულ განსაზღვრულია - 66 027ლარი და ხარჯების ნაწილში - 66 027ლარი. ხარჯების ნაწილი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

PDF Eraser Free
მოიცავს - შრომის ანაზღურებას 1784 სთ, ნედლეულისა და მასალის ხარჯებს, გაუთვალისწინებელ და პროგრამის ამორტიზაციის ხარჯებს. აღსანიშნავია, რომ 13 სტუდენტიანი ჯგუფი ანაზღაურებს თავის თავს.
კოლეჯის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. სწავლება ფინანსდება სამინისტროს მიერ.პროგრამა ფინანსდება ვაუჩერულად.
**პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.**

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები;
- „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია" (დამტკიცებული დირექტორის N01-04/84 ბრძანებით. 16.06.2020 წ);
- „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელების განსაზღვრის და მათი პროგრამის ხელმძღვანელების სამუშაო აღწერილობის (საკვალიფიკაციო მოთხოვნის, ფუნქცია-მოვალეობების) განსაზღვრის შესახებ" (ბრძანება №01-04/91 (26.06.2020 წ));
- კოლეჯის ვებ გგვერდი https://www.kpc.ge/library.html ;
- ელექტრონული სახელმძღვანელოები https://www.kpc.ge/library.html;
- „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია" (დირექტორისბრძანებაN 01-04/122; 10.08.2018 წ);
- პროგრამის ბიუჯეტი;
- ინტერვიურება კოლეჯის ადმინისტრაციასთან;
- ვიზუალური დათვალიერება.

**შეფასება:**

■შეესაბამება
☐მეტწილად შეესაბამება
☐ნაწილობრივ შეესაბამება
☐არ შეესაბამება

**2.4. სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება**

**2.4.1**სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------

PDF Eraser Free

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. კოლეჯის მიერ წარმოდგენილია სასწავლო გეგმა, სადაც მოდულების სწავლების თანმიმდევრობა ლოგიკურადაა განსაზღვრული. კოლეჯის ადმინისტრაციის წარმიმადგენელმა ინტერვიურებისას აღნიშნა, რომ „მშენებლობის წარმოება-იატაკისა და ფილის სამუშაოები“ პროგრამის სასწავლო გეგმის და საათების განაწილების ტარიფიკაციის შესაბამისად მუშავდება გაკვეთილების განრიგი - ცხრილი. პროფესიული განათლების მასწავლებლები მოდულის დაწყებამდე შეიმუშავებენ კალენდარულ გეგმებს კოლეჯში დირექტორის ბრძანებით (15.10.2019 წლის N01-04/171) დამტკიცებული „კალენდარული გეგმის“ ფორმის შესაბამისად.

<u>ინტერვიურებისას ასევე აღინიშნა, რომ მიმდინარე პერიოდში, „მშენებლობის წარმოება - სამღებრო სამუშაოების“ პროგრამაზე დუალური მიდგომით სწავლებისას, დაცულია სასწავლო გეგმასთან შესაბამისობა.</u>

**<u>აღსანიშნავია, რომ ამჟამად „მშენებლობის წარმოება-იატაკისა და ფილის სამუშაოების“ პროგრამაზე დუალური და მოდულური მიდგომით სწავლა არ ხორციელდება.</u>**

2.ინტერვიურებისას კოლეჯის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ზოგადად კოლეჯში დამკვიდრებული პრაქტიკით სწავლა პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით ხორციელდება ორ ცვლაში, სადაც სტუდენტს აქვს ცვლის არჩევის შესაძლებლობა.კოლეჯს გააჩნია გამოცდილება შშმ პირებისათვის უზრუნველყოს დამატებითი ხელშეწყობის პირობები სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების დროს. **<u>მართალია ამჟამად „მშენებლობის წარმოება - სამღებრო სამუშაოების“ პროგრამაზე არც დუალური და არც მოდულური მიდგომით სწავლა არ ხორციელდება, თუმცა გამოცდილება</u>**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------

PDF Eraser Free
<u>აჩვენებს, რომ კოლეჯში დაგეგმილი ყველა ხელშეწყობის ღონისძიება ხელმისაწვდომი იქნება ამ პროგრამის სტუდენტებისათვისაც.</u>

3.„მშენებლობის წარმოება-იატაკისა და ფილის სამუშაოები" პროგრამაზე სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. პროფესიული განათლების მასწავლებლებმა ინტერვიურებისას აღნიშნეს, რომ დაწესებულება ზრუნავს მათ გადამზადებაზე სხვადასხვა მიმართულებით. მათ შორის სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდებზე და თანამედროვე ტექნოლოგიებზე. აღნიშნული ტრენინგები ტარდება როგორც მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ, ასევე კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფის მიერ. საკონსულტაციო შეხვედრები დასტურდება დასწრების ფურცლებით. აღსანიშნავია, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლებმა პირად საქმეებში წარმოდგენილია შესაბამისი სერთიფიკატები.

პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

4. დაწესებულებას გააჩნია „სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მუშავების პროცედურები" (დირექტორის ბრძანება N01-04/35. 20.03.2018 წ), რომელიც საჭიროების დადგენის გზით უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტისთვის ყველაზე ოპტიმალური სასწავლო გეგმის შედგენას და დამტკიცებას. ინტერვიურებისას კოლეჯის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის მორგებული სერვისების შეთავაზების პირობებს პროგრამის ჩანაწერებიც მოიცავს.

<u>აღსანიშნავია, რომ ამჟამად „მშენებლობის წარმოება-იატაკისა და ფილის სამუშაოების" პროგრამაზე დუალური და მოდულური მიდგომით სწავლა არ ხორციელდება.</u>

5. საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო გეგმით გათვალისწინებული პრაქტიკის კომპონენტი ხორციელდება ძირითადად კოლეჯის ბაზაზე C გარემოში. <u>აღსანიშნავია, რომ კოლეჯი ორი მოდულის სწავლებას ახორციელენს კომპანია „რემონტი ჯ"-ში, მასთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულების საფუძველზე. აღნიშნული მოდულებია: 1. სხვადასხვა სახის იატაკის დაგება და 2. ხის იატაკის მოწყობა.</u> <u>კომპანია ვალდებულებას იღებს, რომ 25 სტუდენტს პრაქტიკული ნაწილი გაატაროს რეალურ სამუშაო გარემოში.</u> ასევე, სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით, შეიმუშაოს პროფესიულ სტუდენტთა გამოცხადების გრაფიკი; უზრუნველყოს უსაფრთხო სასწავლო და სამუშაო გარემო; სამუშაოს დაწყების წინ ჩაუტაროს უსაფრთხოების ინსტრუქტაჟი; გამოყოს ინსტრუქტორი, რომელიც უზრუნველყოფს მათ

PDF Eraser Free
სწავლებას, საწარმოო პროცესში მონაწილეობას და მათ შეფასებას. აღრიცხავს პროფესიულ სტუდენტთა გამოცხადებას საწარმოში. კომპანია უზრუნველყოფს მატერიალურ-ტექნიკური რესურსით და კოლეჯი უზრუნველყოფს ინდივიდუალური დაცვის საშუალებებითა და საჭიროების შემთხვევაში ტრანსპორტირებით,გამომდინარე იქიდან, რომ კომპანია მუშაობს ტენდერებზე და შესაძლოა სამუშაო ობიექტი იყოს ქალაქგარეთ-სოფელში. ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 2020 წლის 24 მარტიდან 2022 წლის 23 სექტემბრის ჩათვლით.

ინტერვიურება განხორციელდა კომპანიის წარმომადგენელთან-ხელმძღვანელთან. მან აღნიშნა, რომ უშუალოდ თვითონ იქნება ინსტრუქტორი და გააკონტროლებს პროფესიულ სტუდენტთა სწავლებას სამუშაო გარემოში. მან აღნიშნა, რომ მიმდინარე ეტაპზე ასრულებენ სკოლების სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოებს. კომპანია 18 წელია ფუნქციონირებს და სამუშაოები მუდმივად აქვს. სამუშაოები აქვს როგორც ქობულეთში, ასევე შუახევში და ქედაში. უსაფრთხოების ზომები განსაკუთრებულად იქნება დაცული. კომპანიას ყავს სერთიფიცირებული უსაფრთხოების მენეჯერი, რომელიც იზრუნებს პროფესიულ სტუდენტთა ინსტრუქტაჟზე და სწავლებაზე უსაფრთხოების კუთხით.

<u>პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან დასტურდება შესაბამისი ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებით</u>

6. კოლეჯს ყავს უსაფრთხოებაზე იდენტიფიცირებული პასუხისმგებელი პირი-სპეციალისტი, რომელიც პერიოდულად პროფესიულ სტუდენტებს და პერსონალს უტარებს ინსტრუქტაჟს უსაფრთხოების შესახებ. დაწესებულება სწავლების განხორციელებას უზრუნველყოფს უსაფრთხოების ნორმების დაცვით. დაწესებულებას გააჩნია შესაბამისი აღჭურვილობა, უსაფრთხოების მანიშნებლები და შესაბამისი ინსტრუქციები, რომელიც შესაბამის ფართზე თვალსაჩინოდაა გამოკრული გასაცნობად და სახელმძღვანლოდ.

აღსანიშნავია, რომ პროფესიული მასწავლებლებიც გადამზადებულნი არიან უსაფრთხოების საკითხებში გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების მიერ მოწვეული ექსპერტების მიერ. მათ გააჩნიათ შესაბამისი სერთიფიკატები.

კოლეჯმა ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა დირექტორის ბრძანება №01-04/90 (26.06.2020 წ.) „სსიპ-კოლეჯში „ახალი ტალღა" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „მშენებლობის წარმოება-სამღებრო სამუშაოები", „მშენებლობის წარმოება-იატაკისა და ფილის სამუშაოები" და „მშენებლობის წარმოება-თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი"



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

PDF Eraser Free

ლაბორატორიებისთვის შრომის უსაფრთხოების წესი და ლაბორატორიაში პროფესიული სტუდენტების/მსმენელების შრომის უსაფრთხოების წესის გაცნობის/ინსტრუქტაჟის ჩატარების ჟურნალის (ფორმის) დამტკიცების შესახებ“. შრომის უსაფრთხოების წესი გაკრულია C გარემოში. ინტერვიურებისას პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ყოველი პრაქტიკული მეცადინეობის დაწყების წინ პროფესიულ სტუდენტებს ჩაუტარებენ ინსტრუქტაჟს და შესაბამის ჟურნალში დააფიქსირებენ ხელმოწერით. პროგრამის ფარგლებში, თვითოეული პროფესიული სტუდენტისთვის ინდივიდუალური დაცვის საშუალებებს და მასალების ნაწილს (ვინილის ტიპის იატაკის მოსაწყობად) შეიძენენ სწავლის დაწყების წინ.

<u>სასწავლო პროცესი წარიმართება უსაფრთხო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.ამჟამად „მშენებლობის წარმოება - სამღებრო სამუშაოების“ პროგრამაზე დუალური და მოდულური მიდგომით სწავლა არ ხორციელდება.</u>

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- „სსიპ-კოლეჯში „ახალი ტალღა“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „მშენებლობის წარმოება-სამღებრო სამუშაოები“, „მშენებლობის წარმოება-იატაკისა და ფილის სამუშაოები“ და „მშენებლობის წარმოება-თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი“ ლაბორატორიებისთვის შრომის უსაფრთხოების წესი და ლაბორატორიაში პროფესიული სტუდენტების/მსმენელების შრომის უსაფრთხოების წესის გაცნობის/ინსტრუქტაჟის ჩატარების ჟურნალის (ფორმის) დამტკიცების შესახებ“ . (დირექტორის ბრძანება №01-04/90. 26.06.2020 წ.);
- „სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მუშავების პროცედურები“ (დირექტორის ბრძანება N01-04/35. 20.03.2018 წ);
- „კალენდარული გეგმის“ ფორმის დამტკიცების შესახებ (15.10.2019 წლის N01-04/171);
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები;
- პირადი საქმეები;
- ვიზუალრი დათვალიერება;
- ინტერვიურება კოლეჯის წარმომადგენლებთან.

შეფასება:

■შეესაბამება
☐მეტწილად შეესაბამება
☐ნაწილობრივ შეესაბამება
☐არ შეესაბამებ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

PDF Eraser Free

**2.4.2.** შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას.

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

**კომპონენტის/კრიტერიუმისმოთხოვნებთანშესაბამისობისაღწერითიმიმოხილვადაანალიზი**:

1. პროფესიულ სტუდენტთა შეფასება ხორციელდება დირექტორის 2017 წლის 31 ივლისის N 01-04/97 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტის შეფასებასთან დაკავშირებული რეგულაციების" მიხედვით. კოლეჯში დამტკიცებულია შეფასების ინსტრუმენტის ფორმა, რომლის მიხედვითაც ხდება ინსტრუმენტის შემუშავება (ინსტრუმენტებია ფორმები განთავსებულია კოლეჯის ვებ-გვერდზე: https://kpc.ge/quality.html ). დამატებით კოლეჯში მოქმედებს პროფესიული სტუდენტების, კოლეჯის თანამშრომელბის და მოქალაქეების მიერ შემოსული საჩივრების/პრეტენზიების განმხილველი მუდმივმოქმედი კომისია (31.07.2017 წლის ბრძ 01-04/94), რომელიც განიხილავს შემოსულ საჩივრებს, მ. შ. შეფასებასთან დაკავშირებით. **პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური, თუმცა** აღსანიშნავია, რომ ინტერვიურებისას პროფესიული განათლების მასწავლებლებმა სურვილი გამოთქვეს, რათა მოხდეს მათი გადამზადება შეფასების ინსტრუმენტების შექმნის საკითხებთან დაკავშირებით.

**რეკომენდაცია მიეცათ მოხდეს პროფესიული მასწავლებლების გადამზადება პროფესიულ სტუდენტთა შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების საკითხებზე.**

2. შიდა ვერიფიკაციას ახორციელებს შიდა ვერიფიკატორი, რომელიც შესაძლოა იყოს კოლეჯის იმავე მოდულის სხვა მასწავლებელი, ან იმავე პროგრამის სხვა მოდულის მასწავლებელი და ადმინისტრაციის წარმომადგენელი, რომელთაც გააჩნიათ შესაბამისი ცოდნა. შიდა ვერიფიკატორი პირველ ეტაპზე ადასტურებს „მოდულის შეფასების ინსტრუმენტში"



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------

PDF Eraser Free
ასახული სწავლის შედეგების, მოცემული დავალებისა და სცენარის, შესრულების კრიტერიუმებისა და დავალების შეფასების კრიტერიუმების, როგორც ერთმანეთთან თავსებადობა-შესაბამისობას, ასევე სწავლის შედეგების შესრულების მტკიცებულებების შესაბამისობას შერჩეულ შეფასების ინსტრუმენტთან. შიდა ვერიფიკაციის პირველ ეტაპზე ვერიფიკატორს პროფესიულმასწავლებელთან უკუკავშირის საშუალებით საჭიროების შემთხვევაში შეაქვს შესაბამისი ცვლილება „მოდულის შეფასების ინსტრუმენტში“ მეორე ეტაპზე (მოდულის დასრულებიდან არაუმეტეს ერთ კვირაში) შიდა ვერიფიკატორი ამოწმებს შეგროვებული მტკიცებულებების ავთენტიკურობასა და კომპეტენციების დადასტურებისათვის საკმარისობას და შემოწმების შედეგების ანგარიშს წარმოადგენს დასკვნის სახით.

<u>**პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.**</u>

3. მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვა და შენახვა, შემდეგი პროცედურების დაცვით: მოდულის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებელი ინახავს პროფესიული სტუდენტის შეფასების მტკიცებულებებს მოდულის დასრულებამდე. შეფასების უწყისს წარადგენს სასწავლო პროცესის სპეციალისტთან მოდულის დასრულებიდან 1 დღის ვადაში, რის საფუძველზეც სასწავლო პროცესის სპეციალისტი სწავლის შედეგების შეფასების უწყისის მონაცემებს ასახავს უწყისების აღრიცხვის ჟურნალში. პროგრამის ხელმძღვანელი (ან/და კონკრეტული ჯგუფის ხელმძღვანელი, რომელიც განსაზღვრულია შესაბამისი ბრძანებით) მოდულის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლისგან შესაბამისი დოკუმენტის საფუძველზე ჩაიბარებს თითოეული პროფესიული სტუდენტის შეფასების მტკიცებულებებს, მოდულის დასრულებიდან 5 დღის ვადაში; ხოლო, როცა მოდული სხვა განსახორციელებელ მოდულზე დაშვების წინაპირობაა მოდულის დასრულებიდან ერთი დღის ვადაში; პროგრამის დასრულების შემდეგვ სასწავლო პროცესის სპეციალისტი და პროგრამის ხელმძღვანელი საკვალიფიკაციო კომისიას წარუდგენს ყველა პროფესიული სტუდენტის შეფასების უწყისსა და მტკიცებულებებს, რის საფუძველზეც კომისია მიიღებს გადაწყვეტილებას კვალიფიკაციის მინიჭება/არმინიჭების შესახებ. საკვალიფიკაციო კომისიის სხდომის შემდეგ შეფასების უწყისები და მტკიცებულებები ჩაბარდეს სასწავლო პროცესის სპეციალისტს, რომელიც შესაბამისი აქტის საფუძველზე გადასცემს არქივს. არქივი უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით; მტკიცებულებების პროფესიულ სტუდენტზე გადაცემა ან განადგურება უნდა განხორციელდეს შესაბამისი აქტის საფუძველზე. აქტის შენახვის ვადა განისაზღვროს მისი გაფორმებიდან არაუგვიანეს ერთი წლისა. პროფესიული სტუდენტის შეფასების უწყისის შენახვის ვადა კოლეჯში განისაზღვროს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის შესაბამისად

PDF Eraser Free
საარქივო დაწესებულებაზე გადაცემამდე ან მუდმივად სასწავლო პროცესში გამოიყენება განმავითარებელი შეფასება, რომელიც მასწავლებელს აძლევს საშუალებას, შეამოწმოს სტუდენტების გაგების/გააზრების დონე და შესაბამისად დაგეგმოს სწავლების პროცესი, ასევე მისცეს რეკომენდაცია სტუდენტს თუ რა კუთხით გააქტიუროს მუშაობა განმსაზღვრელი შეფასებისთვის.

<u>პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;</u>

4. სასწავლო პროცესში გამოიყენება განმავითარებელი შეფასება, რომელიც მასწავლებელს აძლევს საშუალებას, შეამოწმოს სტუდენტების გაგების/გააზრების დონე და შესაბამისად დაგეგმოს სწავლების პროცესი, ასევე მისცეს რეკომენდაცია სტუდენტს თუ რა კუთხით გააქტიუროს მუშაობა განმსაზღვრელი შეფასებისთვის.

<u>პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.</u>

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დირექტორის 2017 წლის 31 ივლისის N 01-04/97 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტის შეფასებასთან დაკავშირებული რეგულაციები“
- სსიპ კოლეჯში ,,ახალიტალღა“ 15.10.2019 წლის N 01-04/171 ბრძანებით დამტკიცებული „მოდიფიცირებული კალენდარული გეგმის ფორმის, შეფასების ინსტრუმენტის ფორმის (4 სხვადასხვა დავალებებისათვის) და უწყისის ფორმის დამტკიცების, ამასთან სსიპ კოლეჯში ,,ახალი ტალღა“ შეფასების ინსტრუმენტის შეფასების კითხვარის ფორმის, საკონტაქტო საათზე დასწრების კითხვარის ფორმის, პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული შედეგების მტკიცებულებების შემოწმების კითხვარის ფორმის და შეფასების პროცესის განხორციელებაზე დაკვირვების ფურცელის ფორმის დამტკიცების შესახებ“
- დირექტორის 09.11.2018 წლის N01-04/169 ბრძანებით დამტკიცებული „სტუდენტებისშეფასებისმტკიცებულებებისშენახვის ვადებისა და შენახვაზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრის წესი“ (ცვლილება 16.01.2020 წლის N01-04/04 ბრძანება)
- დირექტორის 11.12.2017 წლის N01-04/188 ბრძანებით დამტკიცებული „მოდულური საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების სასწავლო პროცესში მიღწეული სწავლის შედეგების გასაჩივრების ვადების დადგენასთან დაკავშირებით, სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის ,,ახალი ტალღა’’ მოდულური პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების, შეფასების მტკიცებულებების შენახვის ვადების და მტკიცებულების შენახვაზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრის შესახებ კოლეჯის 2015 წლის 17 ნოემბრის №01-04/135 და კოლეჯის 2017 წლის 27 სექტემბრის №01-04/130 ბრძანებაში და მის დანართ№1-ში ცვლილების განხორციელების, ამასთან კოლეჯის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

PDF Eraser Free

2017 წლის 31 ივლისის №01-04/94 ბრძანებით შექმნილ სსიპ საზოგადობრივი კოლეჯში ,,ახალი ტალღა“ პროფესიული სტუდენტების, კოლეჯის თანამშრომელბის და მოქალაქეების მიერ შემოსულისაჩივრების/პრეტენზიების განმხილველ მუდმივმოქმედი კომისის შესახებ“

**შეფასება:**

■შეესაბამება
☐მეტწილად შეესაბამება
☐ნაწილობრივ შეესაბამება
☐არ შეესაბამება

## XI. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი (ჩაბარებულია დასკვნის პროექტთან ერთად)

16.07.2020
თარიღი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------